# საერთო გაზეთი

№47 (639)
ოთხშაბათი
22 დეკემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## ჩაფლავებული აქცია – ავანტიურისტ მიხეილის პოლიტდასასრული






ნაცმოძრაობის ლიდერშიფმა, ამხანაგი მელიას მეთაურობით, გადაწყვიტა, წავიდნენ ოფისში და მასობრივი შიმშილობა დაიწყონ. იშიმშილებენ მანამ, სანამ მიშას არ გამოუშვებენ ციხიდან. ეს ამბავი კი შეიძლება ექვსი წელიწადი გაიჭიმოს. არა უშავს, ამათ შიმშილობის ისეთი ორიგინალური მეთოდები აქვთ გამოგონებული, ექვსი კი არა, თუ საჭირო გახდა, შეიძლება თექვსმეტი წელიწადიც იშიმშილონ...



## ზურაბ ჟვანიას მკვლელობისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს თემურ ალასანიას და ერიკ გუდისს





## მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურად მკვდარია და გორის ჰოსპიტალში, ისე როგორც მავზოლეუმში, თაყვანისმცემლების რიგი უდგას



## ჯიშკარიანისნაირმა ყალბისმქნელებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ!

## შემირიგდი, თორემ!!!
## ანუ ულტიმატუმი შერიგების სახელით




ნაციონალები მენტალურად არც ქართველები არიან და არც ქრისტიანები, ამიტომაც არ ესმით მათ ქართველი ხალხის...

## ავნოდარას უნიჭო სპექტაკლი, კოდური სახელწოდებით „თესლი“

## ჯანდაცვის სფერო მთლიანად კორუფციულ სქემაზეა აგებული, საავადმყოფოები სასაკლაოებად და ადამიანების საძარცვავ ადგილად იქცა



## მანდელას ეპოქა



# შემირიგდი, თორემ!!! ანუ ულტიმატუმი შერიგების სახელით

## ნაციონალები მენტალურად არც ქართველები არიან და არც ქრისტიანები, ამიტომაც არ ესმით მათ ქართველი ხალხის...

**ვახტანგ ხარჩილავა**

ნაციონალების ქცევას რომ დააკვირდე, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები რომ გააანალიზო, შეიძლება იმ დასკვნამდე მიხვიდე, რომ ესენი მენტალურად არ არიან ქართველები.

ამას რომ ვამბობ, ცხადია, ეთნიკურ წარმომავლობას არ ვგულისხმობ (თუმცა არც ეს გახლავთ უმნიშვნელო ამბავი...).

მეც ბევრჯერ მითქვამს და ჩემს გარდა ძალიან ბევრს შეუნიშნავს ნაციონალების ეს უცნაური განსხვავებულობა ზოგადქართულ ხასიათთან.

ფსიქოლოგების, სოციოლოგების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კომპლექსური შესწავლის შემდეგ თუ დადგინდება, ნაციონალების სახით რა ახალ „ეთნოჯგუფთან" გვაქვს საქმე და როგორ და რანაირად შეიძლებოდა საქართველოს მოქალაქეთა ეს არცთუ ისე უმნიშვნელო ნაწილი ისეთ სექტად ჩამოყალიბებულიყო, რომელსაც ქართულ სინამდვილეში ანალოგი არ ჰყავს.

აი, ამ არაქართული მენტალობის სექტას ველაპარაკებით ჩვენ ქართულად და გვიკვირს, რომ ამათ ჩვენი ქართული არ ესმით.

**„ნაცმოძრაობამ" არა მარტო ფიზიკურად, მატერიალურად, ეკონომიკურად დააზიანა საქართველო, არამედ დააზიანა ქართული სული და იმ ფუნდამენტის მოშლა და მოთხრა სცადა, რაზეც დგას ქართველთა ეროვნული თავისთავადობა და განუმეორებლობა, მისი იდენტობა, ადამიანთა შორის ურთიერთობის დაუწერელი კანონები.**

ქართველ ერს, როგორც ყველა ნორმალურ ერს, გააჩნია თავისი ეროვნული კონსტიტუცია, რომელსაც, მართალია, წერილობითი ფორმა არ აქვს, მაგრამ ის საუკუნეთა განმავლობაში იწერებოდა, იხვეწებოდა, ირანდებოდა და მკვიდრად და მყარად მკვიდრდებოდა ჩვენს ბუნებასა და ხასიათში.

აი, ამ კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვა მოინდომა „ნაცმოძრაობამ" და ნაწილობრივ მოახერხა კიდევაც.

●

ქართველებმა მტრობაც იცოდნენ, მაგრამ იცოდნენ შერიგებაც.

შერიგება რომ არ გვცოდნოდა, ჩვენ, შეზღუდულ სივრცეში მომწყვდეული მცირერიცხოვანი ერი, ერთმანეთს ამოვჟუჟავდით.

შერიგების ინსტიტუტი გადარჩენის ინსტინქტით იყო ნაკარნახევი.

საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი სიბრძნე და გამოცდილება ადამიანებს კარნახობდა, რომ, თუ გინდა შენ და შენს შთამომავლობას მომავალი ჰქონდეს, აწმყოში დაწყებული მტრობა აწმყოშივე უნდა დაამთავრო და თაობიდან თაობებს ესტაფეტასავით არ უნდა გადასცე.

სააკაშვილი სამხრეთ აფრიკისკენ რომ იშვერს ხელს, სამხრეთ აფრიკაში კი არა, აგერ, აქვე, საქართველოში, დევს შერიგების უნიკალური მოდელი და ეს მან, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ მას ამ მოდელის გახსენება ხელს არ აძლევს და ამიტომაც გადაგვამისამართა შორეული აფრიკისკენ.

შერიგების ქართული მოდელი, ქართული კულტურისა და ქართული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი, პირველ ყოვლისა, სიმართლის დადგენით იწყება, რომ ჯერ მტყუან-მართალი გაირჩეს, დამნაშავემ აღიაროს დანაშაული, მოინანიოს, პატიება ითხოვოს, შემდეგ კი დაზარალებულმა მიიღოს გადაწყვეტილება, მზად არის თუ არა ის, დამნაშავეს დანაშაული აპატიოს.

სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას" სიმართლის დადგენა არ უნდათ, დანაშაულის აღიარება არ უნდათ და ულტიმატუმის სახით, უპირობოდ ითხოვენ შერიგებას „ქართული ოცნებისგან".

კი, მაგრამ, რატომ ითხოვენ შერიგებას „ქართული ოცნებისგან", როცა დანაშაულები, რომლებსაც მათ ედავებიან, ქართველი ხალხის წინაშე აქვთ ჩადენილი და თუ ვინმეს აქვს პრეტენზია მათ მიმართ, პირველ ყოვლისა, აქვს ქართველ ხალხს.

**„ქართულ ოცნებას" როგორ შეუძლია ქართველი ხალხის ნაცვლად ვინმეს რაიმე აპატიოს ან ქართველი ხალხის ნაცვლად ვინმეს შეურიგდეს?**

ვინ აღჭურვა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაცია, გნებავთ, რომელიმე პოლიტიკოსი, ეს პოლიტიკოსი თუნდაც პრეზიდენტი იყოს, ქართველი ერის სახელით გადაწყვიტოს, ვის შევურიგდეთ და ვის — არა?

ამიტომ პოლარიზაციის განმუხტვის საბაბით შერიგებაზე ჩამოგდებული საუბარი წმინდა წყლის დემაგოგიაა, რომელიც ეროვნულ თანხმობას და შერიგებას კი არა, პოლიტიკური გარიგების მცდელობას უფრო ჰგავს, რომლის მიზანია ბრალდებული და მსჯავრდებული სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლება, რომ მერე ეს გათავისუფლებული სააკაშვილი ახალ რევოლუციას ჩაუდგეს სათავეში და „ნაცმოძრაობა" კვლავ ხელისუფლებაში მობრუნდეს.

აი, ამას ნიშნავს შერიგება ნაციონალურად, ხოლო ის, ვინც ვითომცდა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ ამ სცენარს უჭერს მხარს, ნებსით თუ უნებლიეთ, მხარს უჭერს „ნაცმოძრაობის" მობრუნებას ხელისუფლებაში.

●

შერიგებაზე როცა ვლაპარაკობთ, ხშირად ვახსენებთ ქრისტიანულ რელიგიას, რომლის მთავარი ფილოსოფიური კრედო მონანიების, მიტევების, შერიგების ფუნდამენტურ ღირებულებებზე დგას, თუმცა, ეს რომ გაიგო და გაითავისო, პირველყოვლისა, ქრისტიანი უნდა იყო.

არიან კი ნაციონალები ქრისტიანები?

მათ მიერ ჩადენილ სასტიკ დანაშაულებს თუ გავიხსენებთ, არა!

დანაშაულებსაც რომ თავი დავანებოთ, მათი ცხოვრების წესს, ადამიანებისადმი დამოკიდებულებას, ზღვარგადასულ უტიფრობას და ცინიზმს, ადამიანების წინააღმდეგ მათ მიერ გამოყენებულ პიარტექნოლოგიებს თუ დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ თავიანთი შინაგანი მრწამსით, ნაციონალები, ძალიან შორს დგანან ქრისტიანობისგან.

აი, ამ არაქრისტიანებს მოვუწოდებთ ჩვენ მონანიებისკენ?

**„ნაციონალური მოძრაობა" ანტიქართული, ანტიქრისტიანული ძალაა, საერთაშორისო მასშტაბის კრიმინალური დესანტია, რომელიც ჯერ საქართველოს შეუსიეს ასაოხრებლად, შემდეგ საქართველოდან უკრაინაში გადაისროლეს, იქიდან ისევ საქართველოში უნდათ გადმოისროლონ, რომ ჩვენთვის უცნობი მზაკვრული და ქვეყნისთვის საბედისწერო დავალება შეასრულებინონ.**



ეს არის ის სიმართლე, რომლის თქმასაც, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებთ.

„ნაცმოძრაობის" მიერ გაძარცვულ, „ნაცმოძრაობის" დახმარებით ოკუპირებულ საქართველოს, როგორც ჩანს, ბოლომდე უპირებენ დაჩოქებას, მის „დასახსნელად" კი უცხოეთის ორი მოქალაქეა მოვლინებული.

„მხსნელებიდან" ერთი აშშ-ის მოქალაქე რომ არის და მეორე — უკრაინის, არც ეს ეუბნება არაფერს იმ გონებადაბინდულ ქართველებს, რომლებიც 21 დეკემბერს ბელადის დაბადების დღისადმი მიძღვნილ მიტინგზე — მიშა! მიშა!-ს ბღაოდნენ, ხოლო ბელადის ბიძა, მეფისტოფელი თემურა, სიხარულისგან ხელებს იფშვნეტდა, რომ ამ „ავანმტყოფი" ერის ერთი ნაწილი იმ დონეზე გამოყ... ებულა თურმე, რომ მტერს და მოყვარეს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ.

აი, ამათ უნდა შევურიგდეთ?!

ამათთან შერიგება ხომ იმას ნიშნავს, რომ ვურიგდებით იმ კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმს, რომელმაც უდიდესი უბედურება დაგვატეხა თავს.

ამათთან შერიგება ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენც ამ კრიმინალების მოკავშირეები და მათ მიერ ჩადენილი სადიზმის თანამოაზრეები ვხდებით?

ამათთან შერიგება ხომ იმას ნიშნავს, რომ მოკლე ხანში კვლავ ამოიყლორტება ქართული ფაშიზმი — XXI საუკუნის საქართველოს ყველაზე დიდი ეროვნული სირცხვილი?!.

●

— კოჰაბიტაცია იმიტომ კი არ შემოგვიგდეს, რომ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა" გადაარჩინონ, არამედ იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში „ქართული ოცნებაც" „ნაცმოძრაობას" დაემსგავსოს-მეთქი, — ვწერდი ამ რვა წლის წინათ.

შერიგება, კოჰაბიტაციის ახალი ვარიანტი, მისი სახე და სახელშეცვლილი ასლი, იმიტომ უნდათ შემოგვაჩეჩონ, რომ ბილწებს ზავით შევეკრათ, რომ მერე თვითონაც ბილწები გავხდეთ.

მისასალმებელია „ქართული ოცნების" მტკიცე პოზიცია — სანამ არ იქნება გულწრფელი მონანიება „ნაცმოძრაობის" მხრიდან, მანამდე შერიგებაზე და ეროვნულ თანხმობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

თუმცა იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, „ნაცმოძრაობა", ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერაფერსაც ვერ მოინანიებს, რადგან, ფაქტობრივად, ეს იქნება აღიარება იმ უმძიმესი დანაშაულებისა, რაც მას აქვს ჩადენილი, ამ აღიარების შემდეგ კი „ნაცმოძრაობის" ადგილი პოლიტიკურ ასპარეზზე არ არის!

●

როგორც ვთქვით, ნაციონალების მიერ შემოთავაზებული შერიგება ულტიმატუმს ჰგავს — თუ არ შევურიგდებით, აქციებს გააგრძელებენ, პარლამენტში არ შევლენ, ქვეყანას არევენ, რევოლუციას მოაწყობენ.

**თქვენთან შემრიგებლის დედაც, თქვე ახვრებო, — აბა, ერთი სცადეთ და ხელი გაატოკეთ, თქვე პროვოკატორებო!** — ასეთი უნდა იყოს საქართველოს პასუხი ამ გარეწრების მორიგ ავანტურაზე.



# ზურაბ ჟვანიას მკვლელობისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს თემურ ალასანიას და ერიკ გუდისს

*გვესაუბრება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალი **ირაკლი კაკაბაძე***

**— ბატონო ირაკლი, სოციალურ ქსელში თქვენს ფეისბუქის გვერდზე განაცხადეთ, მიხეილ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია დასაჭერია ზურაბ ჟვანიას მკვლელობისთვისო. რაზე დაყრდნობით დაწერეთ ეს? რაიმე დამამტკიცებელ ფაქტებს ფლობთ?**

— დიახ. მე უკვე აშკარად ვარ დარწმუნებული, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს თემურ ალასანიას და ერიკ გუდისის დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებმა. ალბათ, უცხოეთიდან, კერძოდ, რუსეთიდან იყვნენ უშუალო შემსრულებლები ჩამოსული. ალასანია მაგ დროს საქართველოში იყო. გუდისმა პირადად ჩემთან და სხვებთან საუბარშიაც დაიმუქრა, რომ ჟვანია უკვე აღარ იქნება თანამდებობაზე 15 თებერვალსო და ეს ნათქვამი ახდა.

ესენი — გუდისი და ალასანია, არიან იარაღის გადამყიდველი მაფიის ბოსები, რომლებიც 1987



წლიდან ხელს ითბობდნენ რუსული იარაღის აკ-47-ების, ტანკების, ნაღმმტყორცნების და სხვა კონვენციური იარაღის გაყიდვით. ჟვანიას ერჩოდნენ იმის გამო, რომ მათ თბილისის აეროპორტის უტენდეროდ ყიდვა ჩაუშალა. ჟვანიას წილად 300 მილიონს დაჰპირდნენ, მან უარი უთხრა 2004 წლის 17 თუ 18 დეკემბერს, რის შემდეგაც ის „მოიშორეს“. მიშას კი ამ დანაშაულის „ჩაფარცხვა“ დაავალეს, თუმცა მან საქმე კარგად ვერ „ჩაფარცხა“. საზოგადოებაში უამრავი კითხვა დარჩა და, საბოლოოდ, არც გაზის ვერსია დადასტურდა.

როგორც იცით, გარდაცვლილთა გვამებზე აღმოაჩინეს ნანემსრები. ზურაბ ჟვანიასაც და რაულ უსუფოვსაც, როგორც ირკვევა, მომწამლავი გაზი ნემსებით შეუყვანეს სხეულის სხვადასხვა ადგილას და გვამები მერე მიიტანეს იმ კონსპირაციულ ბინაში.

მე ძალიან ვაქტიურობდი იმ ხანებში ამ საკითხებზე. თემურ ალასანია თავიდან ცდილობდა გავეჩუმებინე. საკუთარ სახლშიც დამპატიჟა და შემომთავაზა კიდევაც კარიბის კუნძულებზე წასვლა ჟვანიას მკვლელობიდან რამდენიმე დღეში. ზარების ჩანაწერები დღესაც პროკურატურაში დევს.

თავად თემურ ალასანიას 1991 წლიდან ვიცნობ. გუდისი კი 2004 წელს გავიცანი, როცა „თბილავიამშენში“ ვმუშაობდი.

ამ პერიპეტიების დროს ერიკ გუდისიც ცდილობდა ჩემთან დაკავშირებას. დამირეკა კიდევაც რამდენჯერმე. თემურ ალასანიაც მირეკავდა.

ახლახან სატელევიზიო ეთერში პეტრე მამრაძემაც აღნიშნა, რომ ზურაბ ჟვანიას მოშორება უნდოდათ, რადგან აეროპორტის საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ მასთან. კიდევ ვიმეორებ: ალასანიამ და გუდისმა ჩემთანაც თქვეს, ზურაბ ჟვანია ერთ თვეში, 2005 წლის 15 იანვრის შემდეგ, თანამდებობაზე აღარ იქნებაო.

ზურასაც ველაპარაკე ამ საკითხზე. მახსოვს, მითხრა: „აღარ მინდა ამ იარაღის ბარიგების ქვეყანაში ცხოვრება, მივდივარ ამერიკაში სტროუბთანო“.

**— არა მხოლოდ თქვენ, საზოგადოების დიდი ნაწილი ითხოვს სიმართლის გარკვევას. პირადად მეც დამირეკეს ჩვენი გაზეთის მკითხველებმა: ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქეები და უფლება**



**გვაქვს, ვიცოდეთ, ვინ და რა ვითარებაში მოკლა საქართველოს პრემიერი. რატომ არავინ ეკითხება სააკაშვილს ამაზეო?**

— ამაზე პასუხი აქვთ მთავარ ფიგურანტებს: თემურ ალასანიას და ერიკ გუდისს. როგორც გითხარით, სააკაშვილი მხოლოდ „ჩამფარცხავი“ იყო ამ საქმეში. რა თქმა უნდა, ესეც დანაშაულის ნაწილია, მაგრამ, პირველ რიგში, ამ მკვლელობაზე პასუხისმგებელია ის იარაღის მაფია, რომელსაც თემურ ალასანია და ერიკ გუდისი ხელმძღვანელობდნენ. ისინი ჟვანიას „მოშორებაზე“ წინასწარაც ლაპარაკობდნენ.

**— რას ფიქრობთ, ბატონო ირაკლი, თემურ ალასანია, რომელიც ათეული წლებია საქართველოში არ ყოფილა, ამჯერად, მართლა დედის საფლავის მოსანახულებლად ჩამოვიდა ახალი წლის წინა დღეებში?**



— არ მაინტერესებს რა მიზეზით ჩამოვიდა. მე ვიცი, რომ ის არის დამნაშავე ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეში და მან ამ საქმეზე პასუხი უნდა აგოს. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმე და ტრაგიკული მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ჯერჯერობით მიჩქმალულია და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ეს ხდება ამ ხელისუფლების პირობებშიც.

სიმართლეს, როგორც შუბს ხალთაში, ვერ დამალავ, ამიტომაცაა, რომ ახლა უკვე ბევრი ადამიანის ნალაპარაკევიც გამოდის სააშკარაოზე. ადრე ამაზე რამდენიმე ადამიანი ვლაპარაკობდით მხოლოდ, ახლა უკვე სხვებიც შემოგვემატნენ.

თავის დროზე ჟურნალისტმა ვახო კომახიძემ გადაიღო მეტად ყურადსაღები ფილმი ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით. იქ კარგად არის დამტკიცებული, თუ როგორ მოხდა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მკვლელობა.

**— მედიაშიც გაისმა ხმები, ალასანია-გუდისის ფინანსური მაქინაციების შესახებ საქართველოში (და, როგორც ამბობენ, არა მარტო საქართველოში) იარაღით ვაჭრობის ფაქტებზეც, თუნდაც ცხინვალის ომში.**

— დიახ. ალასანიამ და გუდისმა 2008 წლის ომის დროს ასეულობით მილიონის იარაღი გაყიდეს მათ კოლეგა პატრუშევთან ერთად. ამის შესახებაც გამოქვეყნდა მასალები პრესაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისინი, რეალურად, რუსული უშიშროების თანამშრომლები არიან და, ცხადია, მათ რუსული სპეცსამსახურების საქმეები გააკეთეს. საინტერესოა, რომ მათ მიერ გაყიდული იარაღი მერე სირიაში იპოვეს.

აღსანიშნავია, რომ გრუ-ს საქართველოში ბევრი წარმომადგენელი ჰყავს ოპოზიციაშიც და პოზიციაშიც და მათთვის, ყველასთვის, გრუ-ს გენერალი, რა თქმა უნდა, „პატრიოტია“. ეს მწარე ირონიაა, თუმცა დარწმუნებული ვარ, სიმართლე აუცილებლად გამოჩნდება. გრუს წარმომადგენლები





გამოააშკარავდებიან ყველგან — პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც.

რაც მთავარია და აუცილებელი: ზურაბ ჟვანიას მკვლელობისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს თემურ ალასანიას და ერიკ გუდისს. მათთან ერთად კი მათ მარიონეტს და ხელის ბიჭს მიხეილ სააკაშვილსაც, როგორც დანაშაულის დამფარავს.

**— კი, მაგრამ, ამერიკა რომ იცავს თავის ქვეყანაში რუსული სპეცსამსახურების მაღალჩინოსან ალასანიას?**

— ამერიკა არავის არ იცავს. ამერიკის მოქალაქე მეც ვარ, მაგრამ თუ ვინმე არის მკვლელობის თანამონაწილე, იქ არავინ არის დაცული. არავინ შეგიყვანოთ შეცდომაში. ეს ყველაფერი გრუ-ს მოგონილი მითებია.

ამერიკა მკვლელებს არ იცავს.

საქართველოს შემთხვევაში კი მხოლოდ ის ხდება, რომ დაიდო გარკვეული ტიპის გარიგება, პატრუშევის საშუალებით. იგი გახლავთ ახლა მთავარი მედიატორი ამ „შერიგებაში“.

უკვე გითხარით, მიშა ამ საქმეში იყო „ჩამფარცხავი“. ის არ იყო შემსრულებელი. მას არც ენდობოდნენ და არც მიანდობდნენ ამხელა მკვლელობის საქმეს. ეს არის ალასანიას და გუდისის გაკეთებული. მიშა მათ დაქვემდებარებული ფიგურაა. თემურ ალასანია, თავისი თანამდებობით, აღემატებოდა მაშინ მიშას. გაეროს ასეთი მაღალი თანამდებობის პირი საქართველოსხელა ქვეყნების პრეზიდენტებს ხანდახან არც ელაპარაკება ხოლმე. თან ის სუპერ-სახელმწიფო, რომელიც რუსეთის კვოტით იყო წარდგენილი, მეორე-მესამე პოზიციაა იქ. ხელწამოსაკრავი ფიგურა არ იყო და ეს ეტყობა კიდეც. მიშას პრეზიდენტობის მთელი ტრაგედიაც სწორედ ამ მაფიასთან მისი კავშირის საკითხია. ის ვერაფრით განთავისუფლდა ბიძამისის ჩრდილისგან.

საინტერესოა, რომ საქართველოს უშიშროების სამსახურში ალასანიას ბევრი პროტეჟე და თანამოაზრეც ჰყავდა. ახლა არ ვიცი რა ხდება, მაგრამ 10 წლის წინ, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ასე იყო.

ამ მიმართულებით, შემდგომში, არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ ამ ქვეყანაში სამართალი რომ იყოს, ალასანიას პასუხი უნდა მოეთხოვოს მისი ქმედებისთვის გუდისთან ერთად. პირდაპირ ვიტყვი: მან პასუხი უნდა აგოს ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის.

მე მზად ვარ პასუხი ვაგო ჩემს სიტყვებზე ყველგან და ყოველთვის“.

●

როგორც ვთქვით, ამ თემაზე აქტიური საუბრები მიმდინარეობს მედიით და სოციალურ ქსელებში.

საზოგადოება ითხოვს პასუხებს კითხვებზე და არავინ იხევს უკან, დაინტერესების შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაციები ამ საკითხის გარშემო მათთვის ცნობილი რეალური ფაქტების შესახებ.

ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრი, ქალბატონი **მანჩო გიორგობიანი** ფეისბუკის საკუთარ გვერდზე ინფორმაციას ავრცე-



ლებს, რომელიც, დამაფიქრებელ ფაქტებს ხდის ფარდას. ფაქტები საყოველთაო განსჯის გარეშე, ნორმალურ ქვეყანაში, საგამოძიებო ორგანოებმა უნდა განიხილონ.

„2004 წლის გაზაფხულიდან ალასანიას საქართველოში ჩამოჰყავს გუდისი და ისინი, პრაქტიკულად, იწყებენ საქართველოს ეკონომიკის მართვას. განსაკუთრებით მათ აინტერესებთ ტრანსპორტირების ცენტრები და საავიაციო ქარხანა. ისინი გვერდით იყენებენ მაშინდელ ეკონომკის მინისტრს ირაკლი რეხვიაშვილს და ცდილობენ კორუფციული კავშირი დაამყარონ პრემიერ-მინისტრ ჟვანიასთან. თუმცა ეს მათ ბოლომდე არ გამოსდით. რა იყო ამის მიზეზი?!

2004 წლის შემოდგომაზე გუდისი და ალასანია სერიოზულ-

5 გვ. →

# ჩაფლავებული აქცია

## ავანტიურისტ მიხეილის პოლიტდასასრული

19 დეკემბერს, საღამოს, როცა გიული ალასანია შვილის პალატიდან გამოვიდა, ჟურნალისტებმა ჰკითხეს, მიხეილ სააკაშვილი 21 დეკემბრის აქციაზე რას ფიქრობს, როგორი მოლოდინი აქვსო? ქალბატონმა გიულიმ დაბეჯითებით განაცხადა, მას დიდი იმედი აქვს და სჯერა, მთელი საქართველო ქუჩაში გამოვაო. ის კი აღარ უთქვამს, მთელი საქართველო ქუჩაში რომ გამოვა, გორის სამხედრო ჰოსპიტალს აიღებენ, მიშას გაათავისუფლებენ, ამ ხელისუფლებას დაამხობენ და ქვეყანაში კვლავ იქმნება ნათელიო. მაგას ვერ იტყოდა, საშიშია, ეგრევე პროკურატურაში დაიბარებდნენ და შეკითხვებს დაუსვამდნენ. ეს კი იუარებდა, თან იუკადრისებდა, მაგრამ რაში სჭირდება, ამ გართულებულ პერიოდში დამატებით შარს გადაეყაროს? ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ 19 დეკემბერს დედულ გიულიმ გვაცნობა, ჩემ საამაყო ვაჟკაცს ამ აქციის დიდი იმედი აქვსო.

21 დეკემბერი. მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღე, 54 შეუსრულდა, ბალღი აღარ არი, მაგრამ კაი გვარიანად ურიკინებს. მე რა, მე კი არაფერს ვამტკიცებ, სამედიცინო ცენტრმა „ემპათიამ“ დასკვნა გამოაქვეყნა, დასკვნის უნახავი გახდებით, პირდაპირ ხელი დაადეს, გიჟიაო. თავისიანებმა დაადეს, ჩვენიანებმა კი არა.

სხვათა შორის, ამ დღეს გახლავთ დაბადებული იოსება პაპაც (სოსო ჯუღაშვილი), ცოცხალი რომ იყოს, 144 წლისა გახდებოდა. ის ისეთი მაგარი იყო, ამ ასაკშიც კი ქვას ქვაზე დაადუღებდა. ამ დღეს ბევრი ცნობილი ადამიანია დაბადებული, არ ჩამოვთვლი, ჯერ ერთი, აზრი არ აქვს და მეორეც — ეს მიშას დღეა, მისი გარდამოხსნის დღე... ყოველ შემთხვევაში, მას ასე სჯეროდა, მას ასე სურდა, მას ასე უნდოდა.

არ გამოვიდა!

ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ (და საბოლოოდ) უმუხთლა. ასევე უმუხთლა საკუთარმა მრევლმა, თავისმა სექტამ, რომელსაც მისცა არა მხოლოდ „რა დროშა“, არამედ რწმენა, იმედი, სიცოცხლე, ალტყინება, სიცილი, კისკისი და ასე შემდეგ.

ვაჰ!

არ დაიჯერებთ, 21 დეკემბერს ნიკანორ მელიას დაბადების დღეც ყოფილა (უშიშროების ყოფილი გამომძიებელი, აღსრულების ბიუროს ყოფილი უფროსი) — წესით და რიგით, 43-ისა უნდა შექმნილიყო. აღარც ეს არი ბალღობის ასაკში... რომ გითხრათ, დალაგებულია-მეთქი, არ დაიჯერებთ და მართლებიც იქნებით. დალაგებული კი არა, აშკარად ეტყობა, ადრეული ღნავილის პერიოდში ჭოჭინა დაუფრთხა და კედელს არი შენახეთქები.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, 21 დეკემბერს იყო სამი ბუმბერაზის დაბადების დღე... არა, გატყუებთ, 21 დეკემბერს იყო ერთი ბუმბერაზისა (სტალინის) და ორი ჭუჭულიკას დაბადების დღე.

20 დეკემბერს მოხდა მოულოდნელი რამ — ჩვენ რომ გვეგონა, მიხას ბიძა, თემურ ალასანია აშშ-დან საქართველოში საგანგებო მისიით ჩამოვიდა, შეიძლება მოსახლეობის 90 პროცენტი ქუჩაში გამოიყვანოს, ხელისუფლება დაამხოს და დიშვილი გამოიხსნასო, ქვეყნიდან აორთქლდა. „ნაცები“ ამტკიცებენ, კი არ აორთქლდა, უბრალოდ საქმეზე თურქეთში გადავიდა, მერე კუჭი აეშალა და გააჰოსპიტიალიზაციესო. ზუსტად ეგრე თქვეს, თორემ განა ამსიგრძე სიტყვის წარმოთქმა მე კი არ მიჭირს?

მიხეილის ბიძა პროკურატურაში დაიბარეს, ეს უკვე მეორე საქმეზე — თაღლითობასა და ფულის გამოძალვა-მითვისებაზე, საუბარია მილიონ დოლარზე. პროკურატურა არ აკონკრეტებს, ვის გამოსძალა და როდის გამოსძალა. ამან, ამ გამოცდილმა „კაკებეშნიკმა“ იფიქრა, სანამ დამაპატიმრებენ, უნდა გავასწროო და აჰა, გაასწრო კიდევაც. მე არ მგონია, ხელისუფლებას გაეპარა, უფრო მჯერა, რომ გაუშვეს, ანუ თვალები დახუჭეს, რადგან ის შეერთებული შტატების მოქალაქეა და ნურც იმას გამოვრიცხავთ, დიპლომატიური „დაკუმენტები“ ჰქონდეს. ტიპი ჩამოვიდა, ჩემი გავლენებით, ნაცნობ-მეგობრების დახმარებით დიშვილი უნდა გამოვიხსნაო და ლამის გვერდით მიუსვეს, კინაღამ ეგეც დააპატიმრეს. აეშალა მაგასაც კუჭი, შიშმა იცის ეგა, შიშმა და რაღაც დაავადებამ, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ოჯახის თანმდევია, გენეტიკურია. ავი ენები იმასაც ამბობენ, მაგას „შტაბკვარწირები“ თურქეთშიც აქვს, თავისთან გადავიდა, აქეთ მომხედი აღარ არიო. ამ ჩვენს ფეხებს, თუ აღარ არი!




თემურ ალასანიას გაძურწვის შემდეგ ნიკა გვარამიამ ცოტა უცნაური პოსტი (წერილი) გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში:

„მეგობრებო, ძალიან გთხოვთ, როგორც არასდროს არაფერი არავისთვის, ხვალინდელი დღე გადავაგოროთ რამენაირად. ძალიან გთხოვთ. ჩათვალეთ, რომ ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ხვალ რომ ჩვენი მიტინგი არ გავაშუქოთ, ჯვარზე გამაკრავს ყველა, რომ ქოცებს გავურიგდი, მიშას ციხეში ყოფნა მინდა და ასე შემდეგ. სუსიც შეუწყობს ამას ყველაფერს ხელს. ძალიან გთხოვთ, თუ ერთად გატარებული ამდენი წელი რამეს ნიშნავს თქვენთვის და რამე სიკეთე გამიკეთებია, ახლა გთხოვთ ანგარიშის გაწევას. ეს ჩემი ბოლო თხოვნაა. ზეგიდან ხმის ამომღები არ ვარ. მაპატიეთ და უმორჩილესად გთხოვთ, ხვალინდელი დღე მაჩუქოთ. თუ არა — ამას ნამდვილად გავიგებ, მაგრამ იქნებ ბოლოჯერ გამიწიოთ ანგარიში“.



როგორ ფიქრობთ, ვის ეაჯება ნიკა გვარამია, ანგარიში გამიწიეთო? თავის თანამშრომლებს, ე.წ. „მთავარი არხის“ პერსონალს, ხელფასებს რომ ვეღარ ურიგებს. თან ეხვეწება, თან თავისებურად ამუნათებს, წადით, გაგიგებთ, ამას ღალატში არ ჩაგითვლითო. აქედან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? თემო ძიამ გვარამიას ფინანსური წყარო გადაუკეტა, შედეგი ვერ მიიღო და ფაქტობრივად პანჩური ამოარტყა. თუ აქციას ვერ გაავაშუქებ, იცოდეთ, ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დადგებაო. რატომ? იმიტომ, რომ მაგ ვირეშმაკას აქციის გაშუქების ფული უკვე შეჭმული აქვს. არადა, ვალდებულება აიღო, პრობლემა არ იქნებაო. ჩემი ღრმა რწმენით, ახალ წლამდე თუ არა, ახალი წლის შემდეგ ნიკა გვარამიაც გაიძუძგება საქართველოდან. ასეა ეს, უკვე დროა, კიდევ დიდხანს დაყოვნდა. თუ არ გაიძუძგება, დაიჭერენ, ბევრი ავკაცობა ჩაიდინა და პასუხი უნდა აგოს!

### სანამ თემო ძია გაიძურწებოდა

ნოდარა მელაძემ ჰკითხა, მიშას გათავისუფლების რა შანსი არსებობსო?

ამან, ამ ბებერმა გენერალმა, პოლკოვნიკმა თუ ლეიტენანტმა (ვეღარ გავიგე, რა წოდება აქვს), მიშა სადაც არ უნდა იყოს, მაინც თავისუფალიაო!

სულიერად, ჰო, მაგრამ ფიზიკურადო?

ფიზიკურადაცო!

ამოდონა გიჟებს ერთი მაღალგიჟოსანი აკლდათ და აჰა, ისიც ჩამოფრინდა!

თუ მიშა თავისუფალია, თუ მისი სული მინდორ-ველად დაფაეფატებს და ფიზიკურადაც ეგრეა, მაშინ რაღას ღნავით, ვერ არი თავის მატორზე, მარჯვენა მხარეს ამორტიზატორმა გაუსხა, ალაგალაგ არტყამს, მარცხენა თვალი კიდე უთამაშებს, „ზაჟიგანია“ არ უსწორდება, საქართველოში ტექდათვალიერებას ვერ გაივლისო?

არა, ხომ არის თავისუფალი, ხომ დანავარდობს დემოკრატიისა და პლურალიზმის ლაჟვარდოვან სავანეში, მეტი რაღა ჩვენი ფეხები გინდათ?!

ისეო, დასძინა თემო ძიამ, მე ქართველ ხალხს როგორ შევაგინებდიო? არ არსებობს, სამშობლო და დედის ძუძუი ერთია, არ გაიცვლების სხვაზედა, როგორ გეკადრებათო?

რაღა დაგიმალოთ და... გატეხილი მეჩვენა. ვიცი, ეს მაგათი ტაქტიკაა, თავებს იკატუნებენ, მაგრამ მაინც.

ერთ ადგილას მაგრად ჩაარტყა, მელაძემ უთხრა, თქვენ ამერიკელი ხართ დიდი გავლენებითო. ამანაც შეიფერა. ავნოდარას რუსეთი და საბჭოთა კავშირი არ უხსენებია, ამერიკაო, კაცო, თან გავლენებიო.

თემო ძიამ გაბუქა, მე ძალიან დიდი გავლენები მაქვს, სახელმწიფო დეპარტამენტშიც ველაპარაკე ვიღაცებს, გაეროშიც და ორ აშშ-ელ გუბერნატორსაცო.

გაიგონეთ? გუბერნატორებს ველაპარაკე, აღშფოთდნენო, ახლაც აღშფოთებულნი არიანო!

ნოდარას კმაყოფილება დაეტყო სახეზე, შავ ბაგეზე შავმა ღიმილმა გადაუარა.

თემურა ძია ძაან კმაყოფილია სალომე ზურაბიშვილის წამოწყებული შერიგების პროცესით. იგი იმედოვნებს, ქალბატონი პრეზიდენტი აუცილებლად გადადგამს დამოუკიდებელ ნაბიჯს და საქართველოს დამფუძნებელ მის დიშვილს შეიწყალებს.

აკი მიშა თავისუფალიაო?

ჰმ... დაავიწყდა, აღარ გაახსენდა!

### 20 დეკემბრის ღამე

ნანუკა ჟორჟოლიანმა და გია ბარამიძემ, მიშას ხსენებაზე რომ ათავებენ, გორში რამდენიმე დარტყმული ჩაიყვანეს და პატიმარს საქართველოს ჰიმნი მოასმენინეს. მათი თქმით, სააკაშვილის პალატის ფანჯარა ათიოდე მეტრშია და უნდა იგრძნოს, რომ მარტო არ არის.

თავისუფლება მიშას... თავისუფლება ბელადს... ისინი არ ყვიროდნენ, ნირი ჰქონდათ წამხდარი, რაღაცნაირი ცელოფნები ეჭირათ ხელში, შუქი გამოსჭვიოდა შიგნიდან, მერე ხელები გაუშვეს და ეს ცელოფნები ცაში გაფრინდნენ.

რადიო „თავისუფლების“ („ნაციონალების“ რუპორი როა) კორესპონდენტი ეუბნება ბარამიძეს, ამ მეტად შთამბეჭდავი პერფორმანსის გამართვა რაში დაგჭირდათო? ვითომ ვერ მიხვდა, რაში დასჭირდათ. ამან, ამ ბარამიძემ, მაგ სიტყვის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს პერფორმანსი არ არი, ჩვენს გმირს, ამ ქვეყნის დამაარსებელს ვულოცავთ, მან უნდა იგრძნოს, რომ მთელი საქართველო მის გვარდით არისო. მთელი საქართველოო, ოღონდ ეს „მთელი საქართველო“ არსად ჩანდა.

ნანუკამაც თქვა სადღეგრძელო... თუმცა თვითონაც ვერ



მიხვდა, რა თქვა... ჩვენი ენერგია, ჩვენი სიცოცხლეო, იმასო, ამასო, ჩემი გმირი გიწოდე, ხელი გამოგიწოდეო.

ამ დროს მოხდა სასწაული... პალატის ფანჯრიდან მიშამ „პროსტინა“ ააფრიალა!

ესენი, ათიოდენი გადაირივნენ, სიხარულისგან ალბათ ჩაიფსეს კიდევაც, როგორცა სჩვევიათ, ძალიან მაგრად აღტყინდნენ. ნანუკა აღმუვლდა, მადლობა, პრეზიდენტოვო!

ყველანი აღნავლდნენ: გი-ლო-ცავთ! გი-ლო-ცავთ! გი-ლო-ცავთო!

ისიც გაგიჟდა... უფრო სწორად, გიჟი აღტყინდა: ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთო, მიაწექით ბოლომდეო!

მისი მჟღერი ხმის ექო ჯერ ჰოსპიტლის დერეფანში გავარდა, შემდეგ გორის ცას გადაუარა და ბოლოს კავკასიონის მწვერვალებს შეასკდა. ამის გამო, ამ დღეებში მოსალოდნელია ზვავსაშიშროება.

პალატის ფანჯრიდან დაახლოებით სამწუთნახევარი იყეფა, ყველას გამოლანძღვა მოასწრო, ყველას მიაფურთხა და ისევ გაიმეორა, რომ ასე საჯდომად არ სცალია, უამრავი საქმე აქვს. სააკაშვილის პალატის მიმდებარედ, სადღაც, სიბნელეში ძაღლიც ყეფდა, დაახლოებით ისევე, როგორც ბელადი ადოლფ ჰიტლერის სტილში.

### 21 დეკემბერი – „დღე სასტოული“

21-ში დილით ზაალ უდუმაშვილმა განაცხადა, ჩვენი მხარდამჭერები უკვე დაიძრნენ რეგიონებიდან, ათეულობით ათასი ადამიანი გამოვა პარლამენტის წინ და მოთხოვნა იქნება ერთადერთი — თავისუფლება მიშას-ო!

სხვათა შორის, ეს აქცია მიშას დაბადების დღეს უბრალოდ დაემთხვა, თორემ არც კი ვიცოდით, ჩვენი ბელადის დაბადების დღე თუ იყოო.

სხვა წვრილი ოპოზიციური პარტიები ამ აქციას არ შეუერთდნენ. ალეკო ელისაშვილმა თქვა, ესენი „ოცნების“ წევრებს დასცინიან, ბიძინას მონები ხართო და მონები თვითონ უფრო არიანო.

როგორც „მთავარმა არხმა“ გვაცნობა, 21 დეკემბერი საკრალური თარიღია — ეს არის ყველაზე მოკლე დღე და რაკი სააკაშვილი საქართველოშია, 22-დან დღის ხანგრძლივობა მოიმატებს. ასე თქვეს, არაფერს ვამატებ, მათ ასე სწამთ.

როგორც ყოველთვის, ხალხი რეგიონებიდან ჩამოიყვანეს, „მარშრუტკები“ და ავტობუსები დაიქირავეს. ახლა სააკაშვილისთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ „მთელი საქართველო“ მის გვერდითაა. ხუთ თუმნად ჩამოყვანილები ვერც რევოლუციას ახდენენ და ვერც ბელადს ათავისუფლებენ, ისინი აქციაზე ერთ-ორ საათს გაჩერდებიან და მერე მოძუძგავენ სახლებისკენ. ამ ფულიდან 10 ლარს შაურმაში დახარჯავენ, ერთ ბოთლ ლუდსაც დააყოლებენ და მორჩა — „ჩაო, მიხა“!



აქცია საღამოს 6 საათზე დანიშნეს. ერთი საათით ადრე „ნაცების“ ერთმა ნაწილმა თავი რესპუბლიკის მოედანზე მოიყარა, მეორე ნაწილმა — ორბელიანის მოედანზე, შემდეგ კი რუსთაველზე, პარლამენტის წინ, საახალწლო ნაძვისხის გარშემო შეიკრიბნენ.

ისევ ბოტკოველები, ისევ ბარამიძეები, ისევ ხაბეიშვილები, ისევ წიკლაურები, უგულავები, ისევ ნანუკები, ისევ ისინი, ისევ ყელში ამოსული სახეები. ორგვლივ მოცანცარე ე.წ. ჟურნალისტები, სიტყვას სიტყვაზე ძნელად რომ აბამენ და რომელიღაცა ენაზე ბოდავენ. პრინციპში, ეს ენა არ არის, ეს „ნაცური“ ტერმინოლოგიაა. სირცხვილია, ასეთი აღმშენებელი ადამიანი, სახელმწიფოს დამფუძნებელი ციხეში რომ ზისო. აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთო, შთამომავლობას თვალებში რანაირად უნდა ჩავხედოთო? ჩვენი პროტესტი არის მშვიდობიანი და უწყვეტი მანამ, სანამ სააკაშვილს არ გათავისუფლდებაო. ისევ ტრაბახი, ისევ უსაგნო ლაქლაქი, გაცვეთილი ფრაზები, არაფრისმთქმელი სადღეგრძელოები. ალაგ-ალაგ პროკლამაციებიც გამოჩნდა — „არ ვიშლებით“. უი, ახალ წელს რუსთაველზე წამოწოლა მოუნდათ? თანაც ნაძვისხესთან? აღარც ნამუსი, აღარც სინდისი! როდის ჰქონდათ, მაგრამ მაინც.

ხაბეიშვილმა უცებ ჩამოარაკრაკა... სანამ ისაო და ესაო, სანამ ბელადი ტყვედ არის ჩავარდნილი, არც შერიგება იქნება, არც მშვიდობა, ეს ორჯერ ორი ოთხიაო.

პრეზიდენტმა ჩვენ გვაჩვენა გმირობის მაგალითიო, სიყვარულის მაგალითიო, თავდადების მაგალითიო და... ჩვენ არ გვაქვს უფლება, სახლებში ვისხდეთო, ჰყვებოდნენ აქციის მონაწილეები და ისინი ცოტა ხანში სახლებისკენ გაეშურნენ, რათა თბილ ბალიშებზე დაედოთ ცარიელი თავები.

არ გამოვიდა მთელი საქართველო გარეთ, მარნეულიდან, ბოლნისიდან, თეთრწყაროდან და ყიზილაჯლოდან ჩამოყვანილებით ვერ გადაავსეს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია. სიბნელე უყვართ „ნაცებს“ — ჰგონიათ, სიბნელეში ბევრნი ჩანან და... როცა დადიან კიდევ. ამიტომაც გამოქანდნენ რესპუბლიკისა და ორბელიანის მოედნებიდან.

დაახლოებით რამდენი უსაქმური გამოიყვანეს სექტანტებმა? სადღაც 4–5 ათასი, შეიძლება ცოტა ნაკლებიც. თუნდაც 10 ათასი იყოს, ეს ხომ ღალატია? ასე ხომ რევოლუცია ვერ მოხდება?

ჩაფლავდა ალასანია-სააკაშვილების ოცნება ხელისუფლებაში დაბრუნების თაობაზედ.

ხატია დეკანოიძემ დაასკვნა, რომ დღეს საქართველოში არის უმძიმესი ვითარება და ეს უმძიმესი ვითარება გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანა მიტაცებული აქვს ერთ ადამიანს. მივესალმოთ მიშას, რომელიც ახლა საპყრობილეშია!

ჰა, ჰა, ჰა... საპყრობილეშიო, განა მრავალფეროვან ჰოსპიტალშიო? უმადურები!

ზალა უდუმაშვილმა „დასჭექა“: მივულოცოთო, გავაგონოთ ჩვენი ხმა პრეზიდენტსო. ყოფილსო, არ უთქვამს. ასეთი ულიმღამო აქცია „ნაცპრაშმანდოვკებს“ ჯერ არ ჩაუტარებიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი დასრულდნენ. თუმცა მათ შორის დასაჭერი ჯერ კიდევ ბევრია!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

**მინაწერი: აქციის მსვლელობისას ნაცმოძრაობის ლიდერშიფმა, ამხანაგი მელიას მეთაურობით, გადაწყვიტა, წავიდნენ ოფისში და მასობრივი შიმშილობა დაიწყონ.**

**იშიმშილებენ მანამ, სანამ მიშას არ გამოუშვებენ ციხიდან.**

**ეს ამბავი კი შეიძლება ექვსი წელიწადი გაიჭიმოს.**

**არა უშავს, ამათ შიმშილობის ისეთი ორიგინალური მეთოდები აქვთ გამოგონებული, ექვსი კი არა, თუ საჭირო გახდა, შეიძლება თექვსმეტი წელიწადიც იშიმშილონ...**

# ზურაბ ქვანიას მკვლელობისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს თემურ ალასანიას და ერიკ გუდისს

← 3 გვ.

ად მუშაობენ „თბილავიამშენის“ ხელში ჩასაგდებად და ჩაუშლიან კიდევაც პანტიკო თორდიას („თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი – რედ.) „ბოინგის“ პროექტს. სანაცვლოდ ისინი მას სთავაზობენ წელიწადში მინიმუმ 1,2 მილიარდის გაყიდვებს საქართველოში გაკეთებული რუსული იარაღის, მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნებში. თორდია ამ წინადადებებს ეწინააღმდეგება და ცდილობს სამოქალაქო ავიაციის კუთხე შეინარჩუნოს. ამავე დროს ზეწოლა იზრდება მთავრობის მხრიდან. ზეწოლა ძლიერდება ზურაბ ჟვანიაზეც.

ჟვანიას ისინი სთავაზობენ 20 პროცენტიან წილს – ანუ წელიწადში, დაახლოებით 300 მილიონ დოლარს. ჟვანიას დეკემბრის მეორე ნახევარში – დაახლოებით 17–19 დეკემბერს მათ უარს ეუბნება და მიშა აწყობს „სპექტაკლს“.

გუდისი ამერიკიდან რეკავს საქართველოში რამდენიმე ადამიანთან, სადაც ის მათ პირდაპირ ეუბნება, რომ მოემზადონ 15 თებერვლისთვის, როგორც კონტრაქტის ხელმეორედ ამუშავების თარიღისთვის... (ეს ფაქტიც დასტურდება მოწმეებისგან)

კახა ბენდუქიძეს ამასობაში ხსნიან ეკონომიკის მინისტრის თანამდებობიდან და გადაჰყავთ უწყინარი „მრჩეველის“ თანამდებობაზე. (მოგვიანებით, ბენდუქიძეც, რომელიც მანამდე ჯანმრთელობას არ უჩიოდა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა)..

ზურაბ ჟვანიას „მოხსნა“ კი არ იყო ადვილი საქმე. მით უმეტეს, რომ მისი ავტორიტეტი გაიზარდა, რაც ამერიკელებთან გახშირებულ შეხვედრებშიც ჩანდა..

კერძო შეხვედრაზე ერთ-ერთ თავის მეგობართან 2005 წლის იანვარში ზურაბ ჟვანია გამოთქვამს შეშფოთებას, რომ თემურ ალასანიას „მაფია“ — იარაღის გადამყიდველები ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ქართულ ეკონომიკაში და ის ყველაფერს აკეთებს მათ შესაჩერებლად. თუმცა გამოთქვამს შიშს, რომ ეს იარაღის მაფია მაინც თავისას გააკეთებს და გამოთქვამს სურვილს, რომ გადადგეს თავისი თანამდებობიდან და წავიდეს ამერიკაში სტროუბ ტელბოტის მოწვევით. ეს ხდება, დაახლოებით, 10 იანვარს.

ზურაბ ჟვანია ტრაგიკულად იღუპება 2005 წლის თებერვლის დასაწყისში და მის გარდაცვალებას, აშკარად, კგბ-ს ხელწერა აქვს. ოჯახის დაშინება, ჭორების დაყრა და ხალხის დაშინება. (თვითონ სამხარაულს კლავენ და მკვლელიც „თავს იკლავს“ ორი გასროლით – გულში და თავში...).

აეროპორტის გასაღება ალასანიას ჯგუფისთვის ამის მერე უმტკივნეულოდ ხდება – შემოყავთ სხვადასხვა ჯგუფები... გუდისი და ალასანიას ჯგუფი აგრძელებს იარაღით ვაჭრობას და უამრავი



ფულის გაკეთებას თბილისის აეროპორტის გამოყენებით“...— დასძენს მანჩო გიორგობიანი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებები რომ არა, ეკონომიკის ზრდა გაცილებით მაღალი იქნებოდა

*გვესაუბრება
ეკონომიკის ექსპერტი,
პროფესორი სოსო არჩვაძე*

**— ბატონო სოსო, მოგეხსენებათ, ჩვენი ეკონომიკა დიდწილად არის დამოკიდებული მეზობელი ქვეყნების ვალუტის დევალვაციაზე, რა უნდა იყოს პირველი ნაბიჯები ამ დამოკიდებულებებიდან თავდასახსნელად?**

— სურვილი, რომ შევზღუდოთ ეკონომიკური კავშირები მეზობელ და არამეზობელ სახელმწიფოებთან, არის უტოპია და ამის პერსპექტივა ნამდვილად არ არსებობს.

საქართველო გახლავთ ღია ეკონომიკის ქვეყანა. გვაქვს ეკონომიკური კავშირები 140-მდე სახელმწიფოსთან და სავარაუდოდ, ეს პროცესი კიდევ უფრო გაგრძელდება. ეს არის მოცემულობა და ამას გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ



არსებობს საკითხი, რამდენად მიზანშეწონილია, ვახდენდეთ ისეთი პროდუქციის იმპორტს, რომლის მწარმოებლებიც შეიძლება თავად ვიყოთ?!

პანდემიამ დასვა საკითხი, გაიზარდოს ქვეყნების თვითუზრუნველყოფის პერსპექტივები და ქვეყნებმა რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ შიდა რესურსები.

მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ბაზარი გაჯერებული იყო თურქული და ბულგარული ლუდით. ქართველმა მწარმოებლებმა, ბატონმა გოგი თოფაძემ და მერე სხვებმა, იმ ხანებში, დაიწყეს ლუდის წარმოება, რითაც ლუდის იმპორტი საკმაოდ შევიწროვდა.

საქართველოში დღეს მარცვლეულის მოხმარების 85% იმპორტირებულია და ეს იმპორტი, ძირითადად, რუსეთის ფედერაციიდან მომდინარეობს მაშინ, როცა ჩვენ შეგვიძლია ადგილობრივი წარმოების გაზრდა ისე, რომ იმპორტდამოკიდებულება 85%-დან 50, მაქსიმუმ, 55%-მდე დავიყვანოთ.

ჰესების წინააღმდეგ ორგანიზებული ლაშქრობაც კითხვის ნიშნებს აჩენს და საქართველოს უბიძგებს, იყოს აბსოლუტურად დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებზე.

ჩვენ ნელ-ნელა და მიზანმიმართულად უნდა შევძლოთ ვაწარმოოთ ის პროდუქცია, რომლის წარმოების რესურსი და პოტენციალი თვით ჩვენს ქვეყანას გააჩნია.

საქართველოს, ასევე, შეუძლია, მხოლოდ საქონლის ხორცის ექსპორტის შეზღუდვით დაზოგოს ბიუჯეტიდან 100 მლნ ლარზე მეტი.

**— „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დგამს თუ არა ნაბიჯებს წინ ეკონომიკის მიმართულებით წინამორბედთან შეადარებით? ბოლოს და ბოლოს დავიწყეთ თუ არა რეალობასთან ადექვატური ეკონომიკური ქმედებები?**

— დიახ, დიახ. ეკონომიკა ნამდვილად გაიზარდა 2012 წლის შემდეგ.

2012 წლამდე სოციალური მიმართულებით ხარჯების მოცულობა (ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) ჯამში იყო მხოლოდ 32%. დღეს ეკვატორი გადალახულია. ეს რაოდენობა 51%-მდეა. ამ პროცენტებში არ შედის კულტურა, ეკოლოგია და სხვა ხარჯები, რომლებიც არ მიმითვლია ამ 51%-ზე. ესეც თუ გავითვალისწინეთ, პროცენტი გაიზრდება.

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მოახდინა მკვეთრი მანევრი და მეტი ყურადღება გადაიტანა სოციალურ მიმართულებაზე.

2012 წელს ამ სფეროებს იგივე სტრუქტურული მიმართულებები რომ ჰქონოდა დაფინანსების მხრივ, ვთქვათ, განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალური მიმართულებით, ამ სფეროების დაფინანსებაზე სულ ცოტა 3 მილიარდით ნაკლები დაგვეხარჯებოდა ბიუჯეტიდან.

**— ოპოზიციურ ძალებს რომ ვკითხოთ, „ოცნების“ ხელისუფლება ბიუჯეტის ძარცვით იწყობს კეთილდღეობას და საკუთრად სრა-სასახლეებს იშენებენ.**

— იმის თქმა, რომ კორუფცია აბსოლუტურად დაძლეულია, არ იქნება სწორი. ამის მაგალითები ნებისმიერი ქვეყნის სასაქონლო ფულადი ურთიერთობების თანმდევი მოვლენებია, მაგრამ გააჩნია მასშტაბებს და ზომებს.

კორუფცია არსებობს, თუმცა ამას წინა რეჟიმის დროს უფრო სისტემური ხასიათი ჰქონდა.

შეგახსენებთ, როგორ ხდებოდა თანხების ამოღება ბიზნესმენებისგან, სახელმწიფოსთვის ქონებების „ჩუქება“, შემდეგ კი სახელმწიფო აფინანსებდა იმ პირებს, რომელთა საქმიანობა არ იყო უშუალოდ დაკავშირებული საზოგადოებრივ საჭიროებებთან.

**— გაძარცვული ბიზნესი ახსენეთ და საინტერესოა, დღეს ქართული ბიზნესის მდგომარეობა როგორია?**

— ბოლო მონაცემებით, ეროვნული პროდუქციის მოცულობა ბოლო ერთ წელიწადში, დაახლოებით 19%-ით არის გაზრდილი.

როგორც არ უნდა ვატრიალოთ და ან ინფლაციას დავუკავშიროთ, თუ სხვა მოვლენებს, უფრო მაღალი მაჩვენებლები არის ჩვენს თვალწინ.

ყოველ თვე რეგისტრირდება რამდენიმე ათეული ახალი საწარმო. ამ მიმართულებით აქტიურობა შეინიშნება არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ საქართველოს ყველა რეგიონში.

ფაქტობრივად, მივდივართ იმ მდგომარეობით, რომ ბიზნესის კეთება თანაბრად საინტერესო და მომგებიანი იყოს.

ოპოზიციის ამოცანაა, ხელისუფლება გააკრიტიკოს, გააპროტესტოს ბიუჯეტის ხარჯვის მიმდინარეობა. ასე ხდება თითქმის ყველგან: ოპოზიციური პარტიები არ უჭერენ მხარს ბიუჯეტს და გამოდიან მისი კრიტიკით.

ახალი ამბავი არ არის, რომ ოპოზიციის ამოცანაა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ, როცა პოლიტიკური ბრძოლა გადადის ბრძოლაში წესების გარეშე, მათი მოქმედებები რეპუტაციულად უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების მოზიდვის, ტურისტული აქტივობების და ა. შ. თვალსაზრისით, ეს აზარალებს არა მხოლოდ მოქმედ ხელისუფლებას, არამედ ქვეყანას და ამ ქვეყანაში მიმდინარე სამეწარმეო მდგომარეობას.



საქართველოში არსებული დესტრუქციული ოპოზიციური ქმედებები რომ არა, ჩვენი ეკონომიკური ზრდა, დაახლოებით, 22–2/5 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი იქნებოდა.

2%-იანი დანაკლისი ეკონომიკურ ზრდაში საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და ეს, ახლანდელი ფასების მასშტაბებით, თითქმის მილიარდ სამას მილიონ ლარამდეა და მხოლოდ ბიუჯეტის შემოსავლებს აკლდება თითქმის 300–320 მლნ ლარი წელზე გაანგარიშებით.

**— რა გამოდის, ოპოზიციის ეკონომიკური გუნდი ამას არ ითვალისწინებს და ქვეყნის დაზარალება პოლიტიკური პოზიციების საპირწონედ აქვთ წარმოდგენილი?**

— ისინი მოქმედებენ პრინციპით: მიზანი ამართლებს საშუალებას.

ქართული ანდაზაა — „ჩემი ურგები ქოთანი ქვას და ლობიო — ძაღლსო“, ანუ თუ ჩვენ არ ვიქნებით ხელისუფლებაში, რაც იქნება, სულერთიაო.

ოპოზიციას იდეაფიქსი აქვს, მოვიდნენ ხელისუფლებაში, რისთვისაც ყველა საშუალება და ხერხი დასაშვებად მიაჩნიათ.

სხვათა შორის, იგივე მდგომარეობა იყო 2003-შიც. იმ პერიოდში ქვეყანას ეკონომიკური ზრდა ორნიშნა ციფრით ჰქონდა.

წარმოიდგინეთ, ეკონომიკა ვითარდება და ამ დროს ხდება რევოლუცია თუ გადატრიალება.

ტერიტორიული საკითხებიც ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკურ პროცესებზე.

ბატონმა დავით თევზაძემ (ყოფილი თავდაცვის მინისტრი — რედ.) ამასწინათ მოგონებები გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, როგორ განხორციელდა მოსკოვიდან ზარი და როგორი იყო მოვლენების მაშინდელი შეფასება: **Власть меняется на Абхазию**. ე.ი. ხელისუფლებაში მოდიან ახალი ძალები იმ პირობით, რომ ისინი აფხაზეთს დათმობენო.

ასეთია იმ ალგორითმის შინაარსი, რაც განხორციელდა 2003 წლის ნოემბერში.

რას მოასწავებდა ის ზარი მოსკოვიდან, შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გაარკვიონ, მით უფრო, რომ ყველაფერი 2008 წელს ოფიციალურად გაფორმდა.

**— ისევ რუსეთი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების დიდი ნაწილი დაქვემდებარებული აქვს. რა ეშველება ამ საქმეს, ბატონო სოსო?**

— სააკაშვილის მმართველობის დროს, მოგეხსენებათ, სტრატეგიული ობიექტების დიდი ნაწილი რუსებს გადაეცა — ზოგი დაუთმეს, ზოგი — მიყიდეს და დღეს ენერგეტიკული ბერკეტები, წყალმომარაგება, ქიმიური მრეწველობა და სხვ. რუსული კაპიტალის ხელშია, ხოლო მსხვილი რუსული კაპიტალის უკან ყოველთვის მოჩანს კრემლის ქონგურები, ამიტომ, ერთია მედიაში ყვირილი — რუსეთი ოკუპანტია და მეორეა, პრაქტიკული ნაბიჯები, რომელსაც წინა ხელისუფლება წარმატებით ახორციელებდა.

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ — რუსეთი დიდი სახელმწიფოა, ისევე, როგორც ჩვენი სხვა მეზობელი თუ არამეზობელი სახელმწიფოები და მათი ფაქტორი ჩვენს მიმართ გასათვალისწინებელია.

მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა ინტერესებით მოქმედებს რუსული კაპიტალი საქართველოში და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. ამასთანავე, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ მიმართულებითაც, რომ დავაფიქსიროთ, არა მარტო ის, რა ზარალს ღებულობს საქართველო რუსეთის მიერ ჩვენი რეგიონების ოკუპაციით და საქართველოსადმი წარმოებული პოლიტიკით, არამედ იმითაც, რა სარგებელს მიიღებდა თვითონ რუსეთი საქართველოს მიმართ კეთილმეზობლური დამოკიდებულებით.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ჯიშკარიანისნაირმა ყალბისმქნელებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ!



## სააკაშვილი პოლიტიკურად მკვდარია და გორის ჰოსპიტალში, ისე როგორც მავზოლეუმში, თაყვანისმცემლების რიგი დგას

*გვესაუბრება*
*შპს „რეალექსპერტის“*
*ხელმძღვანელი*
*მაია ნიკოლეიშვილი*

**— ქალბატონო მაია, ორგანიზაცია „ემპათიამ“ საქართველოში როდის დაიწყო „მოღვაწეობა“, როდიდან გახსოვთ? სხვათა შორის, „ემპათიის“ ადრეული საქმიანობის შესახებ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია აღარ არსებობს, ყველაფერი წაშლილია.**

— მე მახსოვს 2000 წლიდან, შევარდნაძის მმართველობის დროიდან. მაშინ იუსტიციაში ვმუშაობდი, ექსპერტიზის ბიუროში. ეს იყო თეა თუთბერიძის, გოგა ონიანისა და მათი „მეგობრების“ ინტერესის სფერო. მე მათთან პირადული შეხება არ მქონია, მაგრამ მქონდა რამდენიმე საქმიანი გადაკვეთა, „ემპათიის“ მიერ დაწერილი სასამართლო სამედიცინო დასკვნები იყო სრული უვიცობა, არაკომპეტენტურობა. არადა, ყოველთვის მაღიზიანებს პროფესიული პროფანაცია, ვერ ვიტან, ვერ ვეგუები. ეს იყო რაღაც საშინელი დასკვნები.

ესენი ძირითადად წერდნენ გახმაურებულ საქმეებზე, ამუქებდნენ სიტუაციას, თითქოს იყო წამება, არაადამიანური მოპყრობა და ასე შემდეგ. დასკვნები კეთდებოდა შეუსაბამოდ. ამ დროს მსგავსი არაფერი ხდებოდა.

„ემპათიის“ მიერ გაკეთებულ დასკვნებზე მე ჩავატარე ექსპერტიზა, აღმოჩნდა სრული გაუგებრობა, სიცრუე. ნაცარტუტად ვაქციე, აღარაფერი დავტოვე, მაგრამ ეს ყველაფერი საზღვარგარეთ იგზავნებოდა საქართველოსთვის თავის მოსაჭრელად და ახალი გრანტის ასაღებად. აქ ერთი რამეა საყურადღებო, „ემპათია“ ძირითადად მოკვლევას იწყებდა ხოლმე ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, ამ შემთხვევაშიც იწერებოდა დასკვნები. შემდეგ, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, ყველა დაიჭირეს. გვარს არ ვიტყვი, ისედაც ცნობილია, ერთ-ერთმა მათგანმა საკანში თავი ჩამოიხრჩო. გამოჰყავდათ ვითომ დაზარალებულები, ვითომ ნაწამები ადამიანები და ხელს ადებდნენ მაღალჩინოსნებს. როცა გავიგებდი, დასკვნა „ემპათიამ“ დაწერაო, უკვე ვიცოდი, რომ რაღაც საშინელება უნდა ყოფილიყო.

**— თავიდანვე მარიამ ჯიშკარიანი იყო ამ ორგანიზაციის სათავეებთან?**

— კი, რა თქმა უნდა, თავიდანვე ჯიშკარიანი იყო. დაახლოებით ოთხი წლის წინ უცხოეთში მქონდა შეხვედრები, იქ ერთმა კოლეგა ქალბატონმა მითხრა, თქვენ გყავთ მარიამ ჯიშკარიანი, მაგარი სპეციალისტი, რომელიც წერს, რომ თურმე საქართველოში საშინელებები ხდებაო. ისეთი რაღაცები მითხრა, თვალები შუბლზე ამივიდა. რას ლაპარაკობთ, საქართველოში ასეთი რამ არ ხდება, პირიქით, წარმატებები გვაქვს-მეთქი. ჯიშკარიანისგან ჰქონდათ ინფორმაცია, თითქოს ჩვენი პენიტენციური დაწესებულებები არის კატასტროფულ, მდგომარეობაში. მე თვითონ არასამთავრობო სექტორიდან ვარ გამოსული, ადამიანის უფლებებს ვიცავ, მაგრამ როცა ადამიანი ასე ტყუის, ვიღაცამ პასუხი უნდა აგებინოს. მაგალითად, ამ დღეებში ერთი პიროვნება უცხო ქვეყნის ტელევიზიით აცხადებს, მე-18 დაწესებულება არ არის სამკურნალო, ეს არის საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც მოთავსებული ჰყავთ სააკაშვილიო. როდესაც ამას კადრულობ, როდესაც საკუთარ ქვეყანას დაუმსახურებლად ადანაშაულებ, მაშინ პასუხიც უნდა აგო, უნდა მოგთხოვონ პასუხი. კი, სააკაშვილის დროს იყო სერიოზული დარღვევები, მართლა საშინელებები ხდებოდა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, სამკურნალო დაწესებულება მაშინაც კი არ იყო საკონცენტრაციო ბანაკი. ყოფილი პატიმრებისგან ვიცი, იქ მაინც ექიმები მუშაობდნენ და თითქოს წარმოადგენდა ერთ პატარა კუნძულს, სადაც თავს, ასე თუ ისე, ადამიანად იგრძნობდი. პირობებით რომ დღევანდელს ვერ შეედრებოდა, ეს საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, მაგრამ მე ვლაპარაკობ დამოკიდებულებაზე. მაშინდელზე ხმას არ იღებდე, დღეს გამოხვიდე და თქვა, საკონცენტრაციო ბანაკიაო, ეს უკვე დანაშაულია!




**— ახლა ასე სჭირდებათ, როგორმე ხომ უნდა გაათრიონ თავიანთი ბელადი აქედან?!**

— კი, მესმის, მაგრამ არ შეიძლება, რაღაც ინტერესის გამო ქვეყანას ძირი გამოუთხარო. მოწოდებულები არიან, რომ ქვეყანას მოჭრან თავი და გაასწორონ მიწასთან. როგორც ეს ქალი იქცევა, დაუშვებელია, პასკვილების გაგზავნა ხელისუფლებასაც ურტყამს, ქვეყანასაც ურტყამს და ხალხსაც. როცა დარღვევაა, უნდა ითქვას, მაგრამ დადგე და ტყუილები წერო, როგორ შეიძლება? სააკაშვილის პატიმრობას გუანტანამოს სიტუაციას რომ ადარებ, ნამუსი ხომ უნდა გქონდეს? არ შეიძლება, ექსპერტი გერქვას და სუბიექტურ დასკვნებს წერდე, ეს ყოვლად დაუშვებელია. მაგალითად, ჩვენ რომ მსგავსი ცრუ დასკვნა წარვადგინოთ სასამართლოში, აუცილებლად დავისჯებით, მაგრამ ეს ადამიანები პასუხს არაფერზე აგებენ.

**— მაგალითად, ამ ქალბატონს როგორ უნდა მოეთხოვოს პასუხი, საქმე უნდა აღიძრას თუ ჯანდაცვის სამინისტროს აქვს რამე ბერკეტები?**

— არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს, ამდენი დისკრედიტაცია, ამდენი ფსიქოლოგიური ტერორი მიუღებელია, აუტანელია. ამ სააკაშვილის ამბავზე კიდევ ლენინი მახსენდება, დღესაც მოსკოვში, მავზოლეუმთან რიგში დგანან ადამიანები, რათა ნახონ მკვდარი ბელადი. მე რამდენიმე წელიწადი რუსეთში ვცხოვრობდი, მუზეუმებიც ვნახე, ყველა ღირსშესანიშნაობა დავათვალიერე, მაგრამ ლენინის ნახვის სურვილი არ გამჩენია. სააკაშვილი პოლიტიკურად მკვდარია და როგორც მავზოლეუმში, გორის ჰოსპიტალშიც რიგი დგას. 1917 წლის რევოლუციამდე ისიც კონტეინერით შეიპარა გერმანიიდან რუსეთში და ესეც კონტეინერით შემოიპარა. აი, ახლა მითხარით, რით არ არის სააკაშვილი ლენინი?

**— ახლა ამ ლენინს გამზრდელ-აღმზრდელი ბიძა რომ ჩამოუვიდა, ეს რამეს უკავშირდება თუ უბრალოდ ვალდებული იყო?**

— ორი რამ შეიძლება, ჩემში პირველი შეგრძნებაა ძალიან ცუდი, ანუ ჩამოვიდა რაღაც ცუდის გასაკეთებლად. ამ ტიპის ადამიანები, როგორიც თემურ ალასანიაა, ოდესღაც იყვნენ კაგებეში, შემდეგ ისინი წავიდნენ, სადღაც გადაპორტირდნენ. ეს ადამიანი ცხოვრობს ამერიკაში, არის ამერიკის მოქალაქე და ჩამოვიდა ამერიკიდან. არ მგონია, ასეთები ან რუსეთის ინტერესებს ატარებდნენ, ან ამერიკისას, მათ მხოლოდ თავიანთი ინტერესები აქვთ. არის ტრანსნაციონალური ჯგუფები, სადაც დიდი წილი ყოფილ „კაკებეშნიკებზე“ მოდის, მაგრამ მათაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ, მოკავშირეებს რუსეთშიც პოულობენ და ამერიკაშიც.

ათი წლის განმავლობაში ჩვენ გვმართავდა ნარცისი, მანიაკალური აშლილობით. ის ჩამოყალიბდა ფსიქოპატად, ეს ყველამ ვიცით. დღეს აქვს გამწვავება. წამლების ჩამონათვალი ვნახე, აღარ მინდა ვთქვა, რა მძიმე დაავადებების პრეპარატებია. ამან ტრავმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კი არა, ძალაუფლება რომ დაკარგა, იმ პერიოდში მიიღო, მანამდეც ჰქონდა მიღებული



ბავშვობაში, ყოველთვის დამამშვიდებლებზე იყო. ახლა ძალაუფლება ვერ დაიბრუნა, ამხელა იმედგაცრუება აქვს, ეს მისთვის არის საშინელი ტრავმა, ფსიქიკის დანგრევა და დამსხვრევა. სამწუხაროდ, ამ ბოდვებში ჩვენც შევედით, კოლექტიური ფსიქოზია საქართველოში. წეღანაც ვთქვი, კაცი პოლიტიკურად მკვდარია და ისევ რიგები დგას მის სანახავად, ეს არ დამთავრდება. მაგალითად, მე თანახმა ვარ, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია სააკაშვილს, მაგრამ მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა უნდა დაიდოს.

**— ეგ აუცილებელია.**

— ჩვენ გვაქვს ერთი პრობლემა, ყველას და ყველაფერს ვერ ვარქმევთ თავის სახელს. ჩვენ სრული დეგრადაცია განვიცადეთ „ნაციონალების“ ზეობის პერიოდში, ახლა ამოვდივართ და თან ვერ ამოვდივართ. ჩვენს გარშემო არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, თუ სააკაშვილი კარგად არ იქნება, ქვეყანა რაში გვჭირდებაო? ასეთ ადამიანებს კი არ უნდა გავუბრაზდეთ, უნდა გავაგებინოთ, ვისზე აფანატებენ. ისინი ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან, მართლა ასე სჯერათ. ნახეთ, პანდემიის თემამაც კი მეორე პლანზე გადაიწია, თითქმის დაგვავიწყდა, ამდენი ადამიანი იღუპება ყოველდღე და ჩვენ იმაზე ვბჭობთ, სააკაშვილმა ჭამა, წერილი გამოაგზავნა და კუჭის მოქმედება როგორი აქვს? ხალხი ამით ცხოვრობს, ეს ხომ საშინელებაა?

**— მე ვფიქრობ, ესეც მალე დასრულდება.**

— აქ სახელმწიფომ უნდა თქვას თავისი სიტყვა, ერთი სრულყოფილი ექსპერტიზა რა გახდა, მოიწვიონ ნორმალური ფსიქიატრები უცხოეთიდან და გამოიკვლიონ, დადონ დასკვნა. მე არ ვიცი, იქნებ ეს ზოგადი სიგიჟე ვიღაცას აწყობს? ეს არის ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ დედამიწა მის გარშემო ბრუნავს. თუ მასთან მეხოტბეები არ შევიდნენ, ინგრევა, ფასადი ემსხვრევა, შიგნით ცარიელია, სინდისი ნული აქვს. ბოდიშს რატომ არ იხდისო? მისთვის თანაგრძნობა არ არსებობს, უცხოა, ვერ მოიბოდიშებს, არ შეუძლია, თავის თავში ყოველთვის მართალია. სააკაშვილს ქართველი ერი მიჰყავდა თვითმკვლელობისკენ, ახლა ეს პროცესი გაიყინა და ამის გალღობას ცდილობს. ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ფსიქოლოგიური ტერორი დამთავრდება მაშინ, როცა ჯიშკარისნაირები კანონის წინაშე პასუხს აგებენ, სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ნაციონალებს ხელისუფლებაში მოსვლა კი არა, მუდმივი არეულობა და დესტაბილიზაცია სურთ და ეს შეკვეთა მათ რუსეთიდან აქვთ მიღებული

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, რა ხდება პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, რა გადალაგებებია? წელი იწურება, როგორ შეაფასებთ განვლილ პოლიტიკურ ცხოვრებას?**

— ჭადრაკშიც და პოლიტიკაშიც თამაში შესაძლებლობების ლოგიკიდან გამომდინარე წარიმართება. მოჭადრაკეს დაფაზე თუ სამი ფიგურა აქვს სხვაგვარად თამაშობს, ხოლო თუ ყველა ფიგურა ადგილზეა — სხვაგვარად. დიახ, სამს და ერთმანეთის ზურგს უკან მდგომ 16 ფიგურას მოქმედებების შესაძლებლობები სხვადასხვა აქვს. ქართულ პოლიტიკაშიც ამ შესაძლებლობებს უნდა დავაკვირდეთ. მთელი ეს პერიოდი — 2020 წლის მერე, ოპოზიცია არ შედის პარლამენტში, ბოიკოტირებს და დესტაბილიზაციით იმუქრება, ხელისუფლებას აშინებს: სახელმწიფოს მართვის ვერტიკალს მოვარყევო. თუმცა, წელი იწურება და ოპოზიცია, საბედნიეროდ, იმ რაოდენობის ხალხის შეკრებას, რომ ქვეყანა მოარყიოს, ვერ ახერხებს. და მაინც, იგივეს აგრძელებს. თავიდან, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ 2003 წელი განმეორდებოდა. ასე, აზროვნება თავიდანვე შეცდომა იყო. აქციებზე სულ უფრო ნაკლები ხალხი მიდის. ნაცები არაფერს ცვლიან. ახლა, იძახიან: დიდი აქცია უნდა მოვაწყოთო. შედეგი რა იქნება? მართლა ჰგონიათ: ივანიშვილი და მისი გუნდი დიდ აქციას რომ დაინახავენ, თვითმფრინავში ჩაჯდებიან და გაიქცევიან?! ეს არასერიოზულია. ლუკაშენკოს წინააღმდეგ აქციაზე ზღვა ხალხი გამოდიოდა, თუმცა, იგი, დღეს ისევ პრეზიდენტია. აქციებით ხელისუფლების შეცვლის შანსი ძალიან მცირეა.

2003 წლის გამეორების დაჟინებული მცდელობა, გაუგებარია. ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნებია. არ ითვალისწინებენ, რომ 2012 წლის მერე, ოპოზიციამ ყველა არჩევნები წააგო. ვადამდელი არჩევნებიდან რა სარგებელი უნდა ნახოს ოპოზიციამ? — არაფერი! ისევ, „ქართული ოცნება“ მოიგებს. ოპოზიციის მოთხოვნა, გაუგებარია. ანუ, იმ შესაძლებლობებისთვის იბრძვიან, რაც მათთვის არაფრის მომცემია. საზოგადოების, მათ შორის, ექსპერტების დიდი ნაწილის აზრით, ნაცებს არეულობა, დესტაბილიზაცია სურთ და ეს დაკვეთა მათ რუსეთიდან აქვთ მიღებული. რუსეთის ინტერესის გამო მუდმივი დესტაბილიზაციის ფონის შექმნა — ეს ვერსია, სავსებით, ლოგიკურია. ხშირად გაიგონებთ, მათ შორის, „ქართული ოცნებისგან“ — „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში მოსვლა უნდაო. სინამდვილეში, არ უნდათ!

ნაცებთან მიკარება, ფანატიკოსების გარდა, არავის სურს. ხელისუფლებაში მოსვლა რომ სურდეთ, იგივე შეცდომებს დაუშვებდნენ? მათ უნდათ მხარდამჭერების შენარჩუნება, მუდმივი ქაოსის შექმნა და იმ თანხის მიღება, რაც მეორე ადგილისთვის ბიუჯეტიდან ეკუთვნით. ამიტომ, რადგან მიზანი გაუგებარია, მათი ქმედებების ლოგიკაც, აბსოლუტურად, გაუგებარია. ერთადერთი გასაგები მიზეზი შემდეგია — დესტაბილიზაციის კერების მოწყობა, რაც მათ ხელისუფლების საჭესთან ვერ მიიყვანს. რაც შეეხება ხელისუფლებას, აქ, გაუგებრობები არ არის, არამედ სახეზეა ლოგიკური მოქმედებები.



**— წეღან, ახსენეთ, აქციებისთვის დიდ თანხებს ხარჯავენო. რა წარმომავლობისაა და ხელისუფლება რატომ არ უკეტავს ფულის წყაროს, რათა მათი ტაკიმასხრობა დასრულდეს?**

— მოდით, ამ საკითხს ხელისუფლების მხრიდან შევხედოთ — განა, „ქართულ ოცნებას“ უნდა ეს ტაკიმასხარაობა დასრულდეს? მმართველი ძალა 9 წლის მანძილზე ხელისუფლებაშია იმის წყალობით, რომ ნაცები საფრთხობელას ფუნქციას წარმატებით ასრულებენ. რაში სჭირდება ხელისუფლებას „ნაციონალების“ როლის შეცვლა? მითხარით, რატომ უნდა შეუშალოს მათ ხელი საფრთხობელას ფუნქციის შესრულებაში? მე თუ მკითხავთ, „ქართული ოცნება“ უნდა დაინტერესდეს მიზეზებით: 9 წლის მანძილზე რატომ აღწევენ წარმატებას, მხოლოდ, ნაცების ხარჯზე. კობახიძემ კიდეც თქვა: მოსახლეობა ხმას იმიტომ გვაძლევს, რომ ნაცების მობრუნება არ უნდაო. ანუ, მათი წარმატების პირობა ნაცების საკმაოდ აგრესიული ფორმით პოლიტიკაში ყოფნაა. როცა „ქართულ ოცნებას“ უჭირს, ნაცები, უცებ, აიწყვეტენ და საზოგადოებაში შიში ჩნდება: ხელისუფლებაში, ისევ, ნაცები არ დაბრუნდნენო. ამ ფონზე, „ქართული ოცნება“ საფრთხობელას მეთოდს ექსპლუატაციას უწევს.

**— რას ფიქრობთ, პრეზიდენტის ინიციატივაზე — ეროვნული შერიგების თანხმობასთან დაკავშირებით?**

— შერიგებას პირობა სჭირდება — ორივე მხარე იმისთვის უნდა იღწვოდეს, რათა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საერთო საქმეში ითანამშრომლონ. განა, რა ფორმით შეიძლება ნაცებს „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა სურდეს მაშინ, როცა ყოველ მეორე დღეს ქვეყნის გადაყირავებაზე საუბრობენ. როგორ შეიძლება აქ, შერიგებაზე საუბარი?! ნაცების რიტორიკის ფონზე, რა შერიგებაზეა საუბარი ან ვის ვურიგდებით?! არ ვიცი, რამდენად საჭიროა სიტყვა შერიგების წინ წამოწევა. ოპოზიციური პარტიები პარლამენტში ისედაც მუშაობენ. გარდა იმისა, რომ საერთო სამუშაო შეასრულონ, სხვა რაში უნდა გამოიხატოს შერიგება — კოცნონ ერთმანეთი, ფეხები დაუთბილონ და დაბანონ თუ რა? პროცედურულად, რა იგულისხმება შერიგებაში, გაუგებარია. ვიმეორებ, გარდა იმისა, რომ ერთმანეთის არსებობა აღიარონ, მიიღონ და ამ პირობის ფონზე იმუშაონ. ამ ნაბიჯს ნაცები არ დგამენ და არც გადადგამენ. დანარჩენები „ქართულ ოცნებასთან“ ისედაც თანამშრომლობენ. რას ემსახურება ეს შერიგება? — ერთადერთი დასავლეთმა დაინახოს, რომ ასეთი ინიციატივა არსებობს. ეს მათგან წამოსული ინიციატივაა და ზურაბიშვილმაც მხარი აუბა. თორემ, მას, სხვა მხრივ, ნაცებთან პირდატკბობას ვერ დააბრალებ.

**— კობახიძემ განაცხადა: მიშას შევიწყალებთ, ოღონდ, ნაცები პოლიტიკიდან გავიდნენო?**

— ეს, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. გამოდის, რომ მიშას შეიწყალებ არა როგორც პოლიტიკურ ფიგურას, არამედ როგორც პიროვნებას, მას ციხის კედლებს გარეთ ამყოფებ, ოღონდ, პარტიის სახით, საყრდენს მოუსპობ. ხომ ცხადზე უცხადესია, რომ მიშა ასეთ ნაბიჯზე არ წავა.

**— ბატონო რამაზ, მიღებაზე ზურაბიშვილმა განაცხადა: ეკონომიკური აღმასვლა სულაც არ გვაქვს, ხელისუფლება ოკუპაციის თემას სათანადო ყურადღებას არ უთმობსო და ა.შ., რამაც გააჩინა ეჭვები, რომ პრეზიდენტსა და მმართველ ძალას შორის დაპირისპირებაა. თქვენ, როგორ მიგაჩნიათ?**

— ეს, ზოგადი პრობლემაა. სხვათა შორის, პრეზიდენტის ინსტიტუტი საპარლამენტო რესპუბლიკაში გაუგებარი რამ არის. აქ, პრეზიდენტს რომელიღაც პარტიიდან ირჩევენ, ხომ. შესაბამისად, პრეზიდენტი ამ პარტიის მადლიერი უნდა იყოს. ბევრ ქვეყანაში პრეზიდენტი, პარლამენტის გადაწყვეტილებით, არჩევნების მერე ინიშნება ისე, როგორც პრემიერი. დგება საკითხი: კი მაგრამ, თუ ადამიანის გაპრეზიდენტებაში თავის წვლილი რომელიღაც პარტიას შეაქვს, აქ, ხომ ვალდებულება ჩნდება თავი დავალებულად იგრძნო. თუმცა, ამასთანავე, მას ენდომება დაამტკიცოს, რომ იგი დამოუკიდებელია, მათ შორის, იმ პარტიისგან, რომელმაც ეს ჩინი უბოძა. აქედან გამომდინარე, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტი არალოგიკურია. იგი დეკორაციული ფიგურაა, რომელსაც უცხოელ სტუმრებს აჩვენებენ. ვისგან უნდა იყოს პრეზიდენტი დამოუკიდებელი, მმართველი პარტიისგან ხომ? ხოდა, შედეგად, მმართველ პარტიასა და პრეზიდენტს შორის რიტორიკული ქიშპობა იწყება. სწორედ, ამან განაპირობა დაპირისპირება ივანიშვილსა და მარგველაშვილს შორის. გამორიცხული არ არის ხარვეზმა, რაზეც მოგახსენეთ, ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის დაპირისპირება გააჩინოს. ზურაბიშვილსა და მმართველ ძალას შორის, ეს, ჯერ, ძალიან მძაფრი არ არის. მეორე მხრივ, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებას, ისე პრეზიდენტს თავიანთი პოზიციის გასამყარებლად, მეტი არგუმენტი უნდა ჰქონდეთ. მარტო იმის თქმა, რომ ეკონომიკა არ ვითარდება, საკმარისი არ არის. ასეთი განცხადებები ოპოზიციისგან გვესმის. ციფრებით გამყარებული განცხადებები არც ოპოზიციისგან მოგვისმენია და არც პრეზიდენტისგან. ორივე მხარეს დამაჯერებლობა აკლია.





**— „ევროპის ლიბერალთა და დემოკრატთა ალიანსმა“ მიშას მხარდამჭერი რეზოლუცია გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია: სააკაშვილი საეჭვო გარემოებების გამოა დაკავებული და უნდა გათავისუფლდესო. მისი დანაშაულობები მართლა საეჭვოა?**

— ეს, უკვე, სასაცილოც აღარ არის. მეორე მხრივ, საზოგადოება თვლის, რომ დანაშაულის გარემოებების დიდი ნაწილი სააკაშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში ასახული არ არის, რის გამოც მან პასუხი უნდა აგოს თუნდაც, ქონების წართმევის, ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო. ასე, რომ ქართული საზოგადოების მოთხოვნა სრულიად განსხვავებულია.

**— სააკაშვილის ბიძა დაკითხვაზე დაიბარეს. როგორ ფიქრობთ, რისთვის ჩამოვიდა?**

— ძნელი სათქმელია იმიტომ, რომ მიშას საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში ბევრ ადამიანს იძახებენ, თუმცა, ისინი არ მოდიან. ამით ქართულ მართლმსაჯულებას ვერ გააკვირვებ. ალასანიაც რომ არ ჩამოსულიყო, კითხვა არ გაჩნდებოდა. უფრო ის გაუკვირდათ: რატომ ჩამოვიდაო. ალასანია ჩანაწერების ავთენტურობას არ ადასტურებს. მეორე მხრივ, ჩანაწერების მიხედვით გაჟღერებული ბრალდება მართებულად არ მიმაჩნია — ქართველების გინება მთავარი ხარვეზი არ გახლავთ. ჩადენილ დანაშაულზე უნდა საუბრობდნენ და არა ერის შეურაცხყოფაზე. ანუ, გამოძიებამ არსებითზე უნდა ილაპარაკოს. თორემ, ალასანია იტყვის: მაშინ, ცუდ ხასიათზე ვიყავი, შევიგინე და არც დავფიქრებულვარ რას ვამბობდიო. რატომ ჩამოვიდა ალასანია? ამაზე, ასეთი ვერსიაც არის — სააკაშვილს გამოძიებისთვის მასზე რაღაცები აქვს ნათქვამი. არსად თქმულა, რომ სააკაშვილი გამოძიებასთან არ თანამშრომლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ გამომძიებლები რასაც ეკითხებიან, ყველაფერს პასუხობს. სავარაუდოდ, რა ინფორმაციაც გამომძიებლებს თემურ ალასანიაზე უგროვდებათ, ეს მას შეიძლება ძალიანაც აწუხებდეს იმის მიხედვით, თუ რა იცის სააკაშვილმა ბიძის მოღვაწეობის შესახებ. ამავე დროს, ალასანიას ჩამოსვლის მიზეზი შეიძლება მიშას გონზე მოყვანა იყოს, რათა მან იმაზე მეტი არ ილაპარაკოს, ვიდრე საჭიროა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ბიძა

პუტინის, რუსეთის დაუძინებელ მტრებს, „ნაცარმიას“ რატომღაც არ გაუპროტესტებია მიხეილ სააკაშვილის ბიძის, ძიძის და „კრიშის“ ვიზიტი საქართველოში. არც მისი დაპატიმრება და გაძევება მოუთხოვია. მეტიც, მორჩილად მოისმინეს, რომ შეუძლებელი ვერ შეძლეს და ორ ოქტომბერს გადასატრიალებელი, ძიძას, ოცდაერთ დეკემბერს შეაჩეჩეს. როგორ შეასრულებს რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ჩაშალოს საქართველოს ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაცია ტექნიკის საქმეა. თუმცა, გაშიფრულ, მოფამფალებული ტექნიკა ციხესთან უფრო მალე მიიყვანს ვიდრე ხელისუფლებასთან... ბიძა და დისშვილი, რომ პუტინის დავალებების შემსრულებლები არიან არაერთი ფაქტი მოწმობს, ხშირ შემთხვევაში თვითონაც „წამოცდებათ“ ხოლმე.

წლების წინ ინტერვიუში თემურ ალასანია, რომლის საქმიანობას საბჭოთა „КГБ“-საც უკავშირებენ და აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო



სამმართველოსაც, აღიარებდა, რომ სწორედ მან „ჩაუდო“ თავისი დისშვილი ამერიკელებს, რომლებმაც, საქართველოს შემდეგ, „უკრაინის აფეთქება“ დაავალეს. „მე ვიყავი პირველ მაიდანზე, როცა იუშჩენკო იყო. იუშჩენკოსთან ვმუშაობდი, როცა მიშას ინაუგურაციაზე ჩამოვიდა, მაშინ ჯერ პრეზიდენტი არ იყო. და მას მიმამაგრეს. ძალიან კარგად ვატარებდით დროს და ვსაუბრობდით. როცა აზერბაიჯანში ან სადმე ვხვდებოდით, მრავალსაათიანი საუბარი გვქონდა ხოლმე უკრაინელი ხალხის ბედზე. პირველად, როდესაც მაიდნის დროს შევხვდით — მე, მიშა, პოროშენკო და კიდევ ერთი კაცი — ეს ღამის ორ საათზე მოხდა სასტუმროში. და სადღაც ოთხის ნახევრამდე ვისხედით... მე ვიყავი პირველ მაიდანზე, ვიყავი მეორე მაიდანზე. არადა, კონტრაქტი უნდა შესრულდეს!“. რასაკვირველია, ინტერვიუში იმას არ აღიარებს, რომ უკრაინამ სწორედ „კგბ-ს რაზმეულის“ დახმარებით დაკარგა ყირიმი და კონტროლი დონბასზე...დისშვილის ისტორიაში საკუთარი პიროვნების როლზე სააკაშვილის ბიძა ბუნდოვნად ლაპარაკობს, მხოლოდ აღიარებს, რომ საწყის ეტაპზე ამერიკულ ელიტაში გარკვეულ ხალხს გააცნო: „მე მისი მრჩეველი ვარ. ვიყავი, ვარ და, ალბათ, ასეთად მოვკვდები. ყოველთვის მის გვერდით ვიყავი და ვიქნები, მაგრამ — არაოფიციალურად. ჩემი პირველი შეხვედრები ბრეჟნევიდან დავიწყე, აშშ-ის პრაქტიკულად ყველა პრეზიდენტით დამთავრებული, რეიგანის გარდა“...

დანაშაულის გამოძიების შანსი. საინტერესო დამთხვევაა, სააკაშვილის პოლონეთში დეპორტაცია ზუსტად ერთი დღით ადრე მოხდა მანამდე, როცა მას კიევის სასამართლოში ჩვენება უნდა მიეცა...

თემურ ალასანია თვითონ ამბობს, რომ 1974 წლის მაისიდან ვაშინგტონში ცხოვრობდა. ეს არის ბრეჟნევის დრო. ის მუშაობდა სსრკ-ის საელჩოში, დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი (მგიმო). კიევში ყოფნისას სააკაშვილმა აჩვენა მას კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი და უთხრა — ხომ იცი, მე მგიმო-ში არ მიმიღებდნენ, ვინაიდან იქ მხოლოდ კგბ-სთან შეკრულებს ან ძალიან კორუმპირებული ოჯახებიდან იღებდნენ. ამის შემდეგ სსრკ-ის კვოტით თემურ ალასანია დაინიშნა გაეროში, სამხედრო შესყიდვების დეპარტამენტში, ის ინტერვიუებშიც ამბობს,

ალასანია არც იმას მალავდა, რომ უკრაინაში სააკაშვილის მოღვაწეობა დროებითი იყო, საქართველოში დაბრუნებაზე დამიზნებით. „ამაზე დამელაპარაკა. მე უბრალოდ ვუთხარი: „დიახ, ასე უნდა იმოქმედო, იმიტომ რომ შექმნილ ვითარებაში ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა“. პოროშენკოს მრჩევლობიდან სააკაშვილი ოდესაში გაასახლეს, მერე კი გადააყენეს. შემდეგ, ევროპაში მომაკვდინებელი კომპრომატი ამოტივტივდა — მაიდანზე „ციურ ასეულს“ ქართველი სნაიპერები ხვრეტდნენ სააკაშვილის სპეცრაზმიდან. უკრაინულ გამოძიებას სრულიად არადროულად გაუჩნდა ამ „არცთუ ხელსაყრელი“ რომ მის გარეშე სააკაშვილი არცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებს. „ბიძა“ რუსეთის დავალებებს ოცდაათი წლის წინაც, პირნათლად ასრულებდა. ირაკლი კაკაბაძე პროკურატურაში მიცემულ ჩვენებაში წერს „მე თემურ ალასანია გავიცანი 1991 წლის იანვარში, როდესაც საქართველოში ჩამოვიდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები და ჩვენ მათ ვეხმარებოდით აშშ-ში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხში. ამის მოწმეები არიან ბატონები აკაკი ასათიანი, თედო პაატაშვილი, მერაბ ურიდია და თუ არ ვცდები იქ იყო ბატონი თამაზ გამყრელიძეც. ბატონმა ალასანიამ მაშინ ბევრი დაპირება გააკეთა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საქართველოს ხელისუფლების დახმარებაზე, მაგრამ 1991 წლის განმავლობაში არც ერთი ეს დაპირება არ შეასრულა.

პირიქით, 1991 წლის სექტემბრიდან ბატონი ალასანია ახლო კონტაქტში იმყოფებოდა ნიუ იორკში ჩამოსულ პარტიული ნომენკლატურისა და კრიმინალური წრეების წარმომადგენლებთან, რომელთაც საბოლოო ჯამში განახორციელდეს გადატრიალება. ამასთანავე ბატონი თემური თვითონაც არ მალავდა საკუთარ ბიოგრაფიას და იმას რომ იგი საბჭოთა ორგანოებისთვის მუშაობდა და თვით იური ანდროპოვის აღზრდილი იყო. ამით იგი ხშირად ტრაბახობდა. 1991–1992 წლების განმავლობაში მე რამდენჯერმე შევხვდი თემურ ალასანიას პრეზიდენტ გამსახურდიას დავალებით და ვთხოვეთ მას დახმარება რუსული დეზინფორმაციული ქსელის გარღვევაში, რასაც თვით ჰპირდებოდა საქართველოს მთავრობას, მაგრამ მისი მხრიდან ამ მხრივ არანაირი ნაბიჯები არ გადადგმულა.

1992 წლის მერე ნათლად გამოჩნდა მისი ახლო ალიანსი საბჭოთა ნომეკლატურის წევრებთან, რომელთაც სახელმწიფო გადატრიალებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. პრეზიდენტმა გამსახურდიამ 1991 წელს ჩემთან ერთ-ერთ ბოლო საუბარში ალასანია დაახასიათა, როგორც „სუკის გენერალი“. ასე, რომ ალასანია, რუსეთის სპეცსამსახურების შევვეთილ მუსიკაზე, ოდითგანვე ცეკვავდა, საქართველოში გვამებზე.



2005 წლის 5 თებერვალს ჟვანია მოკლეს და ჩვეული სტილით „უბედურ შემთხვევას“ დააბრალეს... მიშას ძიძა, მუდამ ახლოს ყავდა და კანონის გვერდის ავლით, მას კაბინეტიც გაუხსნა სახელმწიფო კანცელარიის შენობაში. 2011 წელს ის საგარეო საქმეთა სამინისტროში მრჩევლად დაინიშნა რასაც ისევ, მედიის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა... ბიძამ და დისშვილმა, რომ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებების შესრულებით ასობით მილიონი დოლარი ჩაიჯიბეს არ ახალია. მათი ოჯახის ბიზნეს წილების და უკანონოდ მითვისებული სახელმწიფო ქონების შესახებ ამაოდ, არაერთელ უმსჯელია ქართულ მედიას.

თემურ ალასანიას და მისი მეუღლის ფარული ჩანაწერების გავრცელების შემდეგ სააკაშვილის ამერიკული სახლებიდან ერთ-ერთს „იმედის კვირის“ გადამღებმა ჯგუფმა მაიამის სამხრეთ სანაპიროზე, ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ და ძვირადღირებულ ნაწილში მიაგნო. ქალაქის ამ მხარეს სახლები ჰოლივუდის ვარსკვლავებსა და ცნობილ ბიზნესმენებს აქვთ. აპარტამენტების ღირებულება კი მილიონი დოლარიდან იწყება. ამას ემატება ყოველთვიური სოლიდური გადასახადიც.

გავრცელებულ ფარულ ჩანაწერში, სადაც სააკაშვილის ბიძა და ბიცოლა საუბრობენ, ფლორიდაში ახლად შეძენილი სახლის ნომერი დასახელდა, სწორედ ამ ადგილზე მივიდნენ „იმედის“ ჟურნალისტები და გარე და შიდა ინტერიერის გადაღებაც მოახერხეს. გავრცელებულ ფარული ჩანაწერის მიხედვით, თემურ ალასანია სააკაშვილს ამ ადგილზე აპარტამენტის შერჩევაში ეხმარებოდა. როგორც ირკვევა, 2012 წლის ნოემბერში, არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ ამერიკაში გაფორმდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც თემურ და ქეთევან ალასანია დაფარული პირის ნდობით აღჭურვილი პირები გახდნენ. ამის შემდეგ, ნებისმიერი შენაძენის ოფიციალურ დოკუმენტებში არა ამ გასაიდუმლოებული პიროვნების, არამედ ცოლ-ქმარი ალასანიების გვარი ფიგურირებს.

სწორედ ამით აიხსნება ფაქტი, რომ მაიამიში ძვირადღირებული სახლის მფლობელებად სამი ადამიანია დაფიქსირებული, თემურ და ქეთევან ალასანიები და კიდევ ერთი დაფარული პირი. სახლის შეძენის თარიღად 2017 წლის 29 ივნისი სახელდება. შესყიდვის სწორედ ეს ფორმაა გამოყენებული ნიუ-იორკში შეძენილი ორი აპარტამენტიდან ერთ-ერთზეც. აპარტამენტები ჯამში სამ მილიონამდე დოლარი დაჯდა. ერთ-ერთ მათგანში პერიოდულად მიხეილ სააკაშვილი ცხოვრობს. თუმცა, აღნიშნული ქონებაც ზღვაში წვეთია მიშასთვის და მისი ძიძის ქონებიდან, რომელიც ჩვენი ქვეყნის რღვევის და ნგრევის სანაცვლოდ მიიღეს. დიახ, სწორედ ამ „სიტკბოებისთვის“ ჩამოვიდა ჩამოსაწერად განწირული მიხეილი ტრაილერით უკანასკნელი დავალების შესასრულებლად თუმცა უშედეგოდ. ბოლო კოზირად ალასანიაც გამოისროლეს „შეუძლებელი რომ შესძლოს“...



21 დეკემბერს გედის სიმღერით დაამთავრებენ მიშაც და ძიძაც, მაგრამ მათი დანგრეულის აღსადგენად, სამწუხაროდ ათწლეულებიც არ გვეყოფა...უკრაინაშიც კარგად გაიცნეს მიშა, მაგრამ ნაცმადიდებლების რაზმეული უტიფრად ცდილობს მის გათეთრებას. აი, რა განაცხადა გადაცემაში უკრაინის რადას მერვე მოწვევის დეპუტატმა, დიმიტრი გოლუბოვმა: „სააკაშვილი დახოცავს ადამიანთა ნებისმიერ რაოდენობას, სისხლში ჩაახშობს მთელ საქართველოს, რომ მიიღოს ხელისუფლება. ეს ცხოველი უნდა იყოს გალიაში სიცოცხლის ბოლომდე. მისი გამოშვება არ შეიძლება წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაანადგურებს მთელ თქვენ ქვეყანას. ადამიანებს ავიწყდებათ, ვინ იყო მათ ხელმძღვანელი, რა ადამიანია ის. თუმცა ადამიანსაც ვერ ვუწოდებ მას, რომელიც საზოგადოებისგან იზოლირებული უნდა იყოს“.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# ავნოდარას უნიჭო სპექტაკლი, კოდური სახელწოდებით „თესლი“

წინა კვირის შაბათ საღამოს ავნოდარა მელაძემ ისევ გააფუჭა ჰაერი – მიხეილ წამებულის დაკვეთით „ჭუტლექსვიზიის“ ეთერში ივანიშვილების ოჯახზე ისეთი სცენა დადგა, ისეთი საახალწლო ზღაპარი მოიგონა, თვითონაც კი გაოგნდა. არა, თვითონ ისედაც კაიხნის გაოგნებულია, მაგრამ ამ ამბავმა ნამეტნავი ზემოქმედება მოახდინა მასზე.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შაბათის წინა დღეებში ავნოდარას კაბინეტში ძაან პომადიანი ჟჟჟუუუურრრნალისტი რომ ჰყავს, ის შეუვარდა და დაუყოვნებლივ მოახსენა, გვაქვს შანსი, ისეთი სპექტაკლი დავდგათ, თითქოს ივანიშვილის ოჯახს საქართველოში კანაფის ტესლი შემოაქვს.




მსახიობებიც გვყავს. დანარჩენი შენ იციო.

ახლავე დავჯდები, სცენარს დავწერ და იმის მიხედვით ვიმოქმედოთო, მიუგო სიხარულისგან აჭყლოპინებულმა ავნოდარამ და ძალიან ღრმად ჩაფიქრდა.

## ავნოდარას სცენარი

(სცენარი ტექსტის სახით განთავსებულია „ტვ პირველის“ საიტზე. მოქმედება მიმდინარეობს აღმაშფოთებელი მუსიკის ფონზე, კადრები ჩაბნელებულია. სტილი დაცულია)

„ბიძინა ივანიშვილი საქართველოში მარიხუანას პლატანციების მოშენების ერთ-ერთი ინიციატორი იყო, როდესაც ეკლესიის ამბოხების შემდეგ ეს გეგმა ჩაუვარდა, ახლა ფულის კეთება ამ ბიზნესით, როგორც ჩანს, მისმა ძმამ, ალექსანდრე ივანიშვილმა გადაწყვიტა -კესო ივანიშვილის სახელზე გაფორმებული კომპანია ახლა მარიახუნას თესლის რეალიზებით არის დაკავებული. კესო 24 წლისაა, მას ბიზნესის კეთების არანაირი გამოცდილება არ გააჩნია, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოშიც არ ცხოვრობს. ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მამამ ქალიშვილის სახელზე კანაფის ბიზნესი გადამალა“.

აუცილებელი განმარტება: თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ სცენარი უნიჭოდაა დაწერილი. მეტიც, ავტორი საერთოდ მწყრალადაა წერასთან, კითხვასთან და ლოგიკასთან. სცენარის ავტორი ერთ ხანობას იბნევასავით... უფრო სწორად, იბლანდება, კანაფის კაკლების ბიზნესი ბიძინასია თუ მისი ძმისა, ვერ გაუგია – სავარაუდოდ, ალექსანდრემ გადამალა შვილის სახელით, მაგრამ ლოგიკას თუ მივყვებით, ან ერთს, ან მეორეს რაში სჭირდებოდა ამგვარი მანიპულაცია? მართალია, ე.წ. კომპანიის ე.წ. მესვეურები დიდი ენთუზიაზმით ყვებიან, ამ შემთხვევაში გვარი ივანიშვილი გვაინტერესებდა, პრობლემები არ გვექნებოდა, 25% ამიტომაც ვაჩუქეთო, მაგრამ არც სცენარში და არც ეთერში გასულ გადაცემაში არავინ ეცადა, ბატონი ალექსანდრეს ქალიშვილს დაკავშირებოდა, თუმცა, ავნოდარას ეს რომ გაეკეთებინა, აქ მისი ზღაპარი ნაცრად იქცეოდა და სიუჟეტი ჩავარდებოდა.

შემდეგი ამონარიდი ავნოდარას სცენარიდან (სტილი დაცულია): „ალექსანდრე ივანიშვილმა როგორც კი გაიგო, რომ „შაბათის ეთერი“ ამ თემაზე გამოძიებას ამზადებდა, სატელეფონო საუბრის დროს ჩვენს ტელევიზიას და ჩვენი არხის მფლობელის ოჯახს განადგურებით დაემუქრა“.




მე არაერთხელ მოვისმინე ჩანაწერი, იქ მუქარა არ არის, ალექსანდრე ივანიშვილი სახლთან მივარდნილ დედაკაცს ტელეფონში ეუბნება, საერთოდ არ ვნერვიულობ, თუ ავთო წერეთლის ძვლებს ჭია მალე გამოხრავს, გამიხარდებაო. ესენი ამბობენ, ჭუტას ოჯახს განადგურებით დაემუქრაო, ჩვენი პატრონის ოჯახსო. ჯერ ერთი, ეს მუქარა კი არა, სურვილია და მეორეც – ასეთი სურვილი, რა თქმა უნდა, ყველას გაუჩნდება, თუკი ვინმეს ოჯახის განადგურებას იქით მოინდომებ. ვინ ხარ, რას წარმოადგენ, რა უფლებით იგონებ ისეთ საშინელებას, რამაც შეიძლება, 24 წლის გოგოს ცხოვრება სამუდამოდ დაუნგრიოს? და ვინ ხარ, ეს ხომ მთელმა საქართველომ იცის? შენი შვილი (ჭუტლექს მეორე), მკვლელია, მანქანით გალეშილი ავტობუსების გაჩერებაზე შევარდა და არასრულწლოვანი ბიჭი გაიტანა. შენ ეს საქმე ფულით ჩაფარცხე ისე, დაზარალებულის ოჯახშიც კი არ მისულხარ. მერე ბიზნესი წაართვი ვიღაც არაბებს, მერე ფულის გათეთრება დაიწყე ხაზარაძე-ჯაფარიძესთან ერთად (კიდევ რამდენი ავაზაკობა გაქვს ჩადენილი, ღმერთმა იცის) და ახლა ალექსანდრე ივანიშვილის ოჯახს მიადექი






გასანადგურებლად. თან როგორ? მოგონილი, გათამაშებული სცენარით, მოსყიდული პერსონაჟებით!

შემდეგი ამონარიდი ავნოდარას სცენარიდან: „საქართველოს ჰიბრიდული მეურნეობის განვითარების კომპანიის“ წილის 75%-ს ქუთაისის „ბიზნეს ჯგუფი“ ფლობს. ეს ბიზნეს ჯგუფი კი კანაფის თესლის რეალიზაციის ბაზრის მთავარი მოთამაშეა“.

აუცილებელი განმარტება: ეს უკვე იუმორის ჟანრია – ავნოდარა ამტკიცებს, ეს ბიზნესჯგუფი კანაფის თესლის რეალიზაციის ბაზრის მთავარი მოთამაშეაო. კი, მაგრამ




მთავარ მოთამაშეს სამიოდე „ბუტკა“ აქვს გახსნილი? არ არსებობს, მთავარ მოთამაშეს სულ მცირე, 50-მდე სუპერ-მარკეტი უნდა ჰქონდეს აგუგუნებული. მეორე – სიუჟეტში გვიჩვენებენ რაღაც აპარატს, რომელიც თურმე კანაფის მინი-სათბურია, თან ამბობენ, ივანიშვილი მარტო კაკლებს კი არა, სხვადასხვა ატრიბუტებსაც ჰყიდისო. ამ დროს გვიჩვენებენ ბოთლებს, რაღაც ფუთებს და პლასტმასის ჩიხრიპიტოებს. ქუთაისის განყოფილებაში ვინმე ქალ-ვაჟი ისე დეტალურად ყვება კანაფის დათესვა-მოყვანისა და რეალიზაციის საიდუმლოებას, ნებისმიერი, ოდნავ გათვითცნობიერებული ადამიანი იფიქრებს, ესენი ან კრეტინები არიან, ან კიდევ სპეციალურად ლაქლაქებენ მიკროფონთანო. ჩემი აზრით, აქ მეორე ვარიანტთან უფრო გვაქვს საქმე – „ჭუტლექსვიზიასთან“ საეჭვო კავშირში მყოფი „მსახიობები“ განგებ ცდილობენ, ღიად ილაპარაკონ ე.წ. სქემაზე და მაყურებელს დააჯერონ, რომ ბიძინა ივანიშვილის ოჯახი, სანათესაო, ძმა, ძმიშვილი ჩართულები არიან რაღაც ბინძურ საქმიანობაში. არ გაინტერესებთ, რა ღირს ერთი პორცია, ანუ 300 გრამამდე სათესლე მასალა, რომელსაც, სადაც ინებებთ, კურიერი იქ მოგართმევთ? 33 (ოცდაცამეტი) ლარი!

წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდმილა ბიძინა ივანიშვილი, რომ „ციკლეტებით“ კურიერებს დაარბენინებს და კანაფის კაკლებს 33 ლარში ყიდის? არა, წარმოგიდგენიათ? ადამიანს დღეში ცხრაჯერ წამოაძახებენ ხოლმე, „გაზპრომის“ აქციების მფლობელი ხარო და თან ეგეთ წვრილმან „ხულიგნობაზე“ ედავებიან. საინტერესოა, რა უნდა გასჭირვებოდა ამისთანა ივანიშვილის ოჯახს, რომ ასეთ ხურდა რაღაცაზე წასულიყო?

იცი, ეს საიდან შემოდისო? ეკითხებიან კურიერს. კი, კაცო, ჰოლანდიაში ჰყავთ ვიღაც ტიპი, ამსტერდამში, 60 წელზე მეტის ტიპია, ბაბუა კაცია, ის აგზავნისო. დიდი ფერმა აქვს, ლიცენზია აქვს და რამე, ანის დედა არის მაგის მეგობარი, სადღაც გაიცნეს ერთმანეთი, „ჩერეზ“ მაქედან არიან დაახლოებულებიო. ანი ვინ არის? ალბათ ის, რომლის შესახებაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მოკლედ, შენ ისღა დაგრჩენია, წაიღო ე.წ. კაკლები სახლში, დათესო ქოთანში, ამოაბიბინო, დაამწიფო, გაფშვნიტო, გააშრო, პაპიროზში შეაკეთო და წიო, რამდენიც გინდა. სწორედ ასე მსჯელობს ჭარბპომადიანი ქალი – იყიდე 33 ლარად, მოიყვანე და წიე, რამდენიც გინდაო. წარმოგიდგენიათ?

## ავნოდარას მთავარი სიცრუე

საიდანაც მათ ე.წ. სინჯი, ანუ საცდელი (სამხილი) თესლი იყიდეს, არის არა „ჰიბრიდული მეურნეობის განვითარების კომპანია“, არამედ „ანკოს შოპი“. კომპანია ორი თვის წინ კოტე ცირეკიძემ და მისმა მეუღლემ დააფუძნეს, ამ ბიზნესთან არც ფორმალური და არც არაფორმალური შეხება ივანიშვილებს არ აქვთ.

ვინ არის კონსტანტინე ცირეკიძე? მის სახელზე არაერთი ე.წ. კომპანიაა დარეგისტრირებული, მათ შორის შპს „ქუთაისის ბიზნეს ჯგუფი“, რომლის 50% მას ეკუთვნის, ხოლო 50% ანა (აი, ანი, რომლის დედამაც ჰოლანდიელი ბიძია-ბაბუა სადღაც გაიცნო და ახლა კანაფის კაკლებს უგზავნის) ჭიღვარიას. სად არიან აქ ივანიშვილები, სად ჩანან? არსად! იგივე ცირეკიძის სახელზეა ასევე შპს „ქუთაისის ბიზნეს ჯგუფი“. რამდენიმე შპს (სარესტორნე საქმიანობა) არააქტიურია.

ფაქტია, ავი ნოდარა ცრუობს, რაღაც არარსებულს დგამს და მერე რაღაც ამბავსაც ჩხლართავს. საიტზე, რომელიც „ჭუტლექსვიზიით“ გვაჩვენეს, გამოყენებულია ლევან ვასაძისა და გირჩი ზურაბას ფოტოები, რაში სჭირდებოდათ ივანიშვილებს ამათი სახეები, რომელი ვარსკვლავები თუ საზოგადო მოღვაწეები ესენი გვყვანან? ესეც ერთი დეტალი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნოდარი მყრალ ფეიკებს ამზადებს. მეტიც, თურმე ბიძინა ივანიშვილი აღელვებულია, რადგან მარიხუანას ქართული ბაზარი უხარისხო პროდუქციით არის გაჯერებული. ახლა კი მიზნად დაუსახავს, თესლის შემოტანით ეს პრობლემა აღმოფხვრას. არა, ამასაც ხომ მოფიქრება უნდა? აბა, წარმოიდგინეთ, როგორ შორს უნდა ქროდეს ადამიანის გონება, ასეთი დამპლური რაღაცა რომ მოიგონოს?!

სიუჟეტში ჭარბპომადიანი ჟჟჟუუუურრრნალისტი დასძენს, ალექსანდრე ივანიშვილისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, მისი შვილი რომ მარიხუანას ბიზნესშია ჩაბმულიო. ამ დროს უჩვენებენ ძველ კადრებს. არავითარი შოკი!

და ბოლოს... ამ ე.წ. სიუჟეტში ყველაფერი არის დადგმული, ცირეკიძე, ვინმე ანი და კურიერი არიან „მსახიობები“. მათ როლები აქვთ გადანაწილებული, რაც შეიძლება დამაჯერებლად უნდა გახვიონ სკანდალში ივანიშვილები. თუმცა, იმის გამო, რომ თვითონაც უნიჭოები არიან და რეჟისორიც (ავნოდარა) უნიჭო ჰყავთ, ამას ვერ ახერხებენ და ვერც მოახერხებენ – დღეს სიცრუეს ფარდა იოლად ეხდება!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ვინც სამშობლოს მოღალატეს შეიწყალებს, ქართველი ხალხის რისხვას დაიმსახურებს

## ინტერვიუ გლდანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან



**— მამაო, უნდა შეიწყალოს თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი! სანამ შეწყალებაზე ვისაუბრებთ, თქვენი ნებართვით, მცირე რაკურსით შემოვიფარგლები.

ჩემი მოსაზრებით, მთავრობის წარმომადგენელთათვის შერიგება მიუღებელია, მით უმეტეს, იმ ყოვლად მიუღებელი მოთხოვნების ფონზე. თუმცაღა, ოპოზიციაც თავს იკავებს შერიგებაზე, რამეთუ მათი მიზანი მხოლოდ დესტაბილიზაციაა. ცოტა ხანში მათ შორის მოხდება აზრების ურთიერთგაცვლის ჭიდილი და უშედეგოდ დამთავრდება ყველაფერი.

შეწყალებასთან დაკავშირებით ჩვენ ყველას გვახსოვს პრეზიდენტის სიტყვები: „არამც და არასოდეს!", თუმცაღა არ არის გამორიცხული, შეიწყალოს, რამეთუ ქალბატონების სამეული: თვით სალომე ზურაბიშვილი, ე.წ. სახალხო დამცველი ლომჯარია და ამერიკის ელჩი კელი დეგნანი თავგადაკლული ლგბტ-თა დამცველები არიან, რითაც უპირისპირდებიან მართლმადიდებლობას. ლომჯარია დასავლეთის დაქირავებული მონაა, დეგნანი ზემოდან ნაკარნახევი გეგმით მართავს, უხეშად ერევა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, რაც მისი, როგორც ელჩის მოვალეობის საზღვრებს ძალიან სცილდება. რაც შეეხება პრეზიდენტს, მას ავიწყდება, რომ თითოეული ჩვენგანის ხმებით ზის ორბელიანის სასახლეში. ისიც ავიწყდება, რომ ყოველივეს ღმერთი მართავს და თუ გაბედავს და შეიწყალებს სამშობლოს, ქართველი ხალხის მოღალატეს, ეს გამოიწვევს საზოგადოების მღელვარებას და სავალალო შედეგს. მან უნდა გააცნობიეროს, რომ სააკაშვილს მისი პრეზიდენტობის პერიოდში უთვალავი დანაშაული აქვს ჩადენილი. არავითარი კომპრომისი. როგორც ირკვევა, მან შეგნებულად ჩააბარა საქართველოს ტერიტორიის 20%, სტრატეგიული ობიექტები. რა შეწყალებაზე, რა შერიგებაზეა საუბარი და თუ ვინმე ამ სავალალო ნაბიჯს გადადგამს, ეს გააცამტვერებს ხელისუფლების რეპუტაციას და, რაც მთავარია, სანამ ეს სამი ქალბატონი: ზურაბიშვილი, ლომჯარია და დეგნანი ასე შეხმატკბილებულად იმოქმედებენ (საუბედუროდ) ჩვენ ქვეყანას უფრო მეტი პრობლემები შეექმნება. ვერაფერს მივაღწევთ. ნაციონალებზე უფრო დაუნდობელი მტრები აღმოჩნდებიან.

**— მამაო, თქვენი აზრით, კორონა ვირუსი ჩვენი ცოდვების გამო გამოგვეგზავნა თუ თავად ადამიანმა გამოიგონა?**

— ჩემო კარგო, ყოველი სასჯელი ღმერთისგან მოდის. ყველამ უწყის, რისთვის მოავლინა უფალმა წარღვნა, რისთვის მოსრა სოდომ-გომორი, რამეთუ კაცობრიობა სიბილწის მორევში ჩაიძირა. ადამმა და ევამ ერთი ცოდვა ჩაიდინეს აკრძალული ხილის ნაყოფის მიღებით. გადავხედოთ კაცობრიობის აღურაცხელ და მიუტევებელ ცოდვებს, პასუხიც ეს იქნება. ორივე შემთხვევაში დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობა ღმრთის სასჯელია დამსახურებული, რომელსაც, საუბედუროდ, ვერ აღვიქვამთ. შესაძლებელია, კორონა ვირუსი ხელოვნურად არის შექმნილი, რათა თითოეული ადამიანი მართული იყოს. აცრასთან დაკავშირებით საზოგადოება ინფორმირებული იყო, რომ ნებაყოფლობითი იქნებოდა, ახლა კი ძალადობრივ ფორმაში გადავიდა. მეტიც, გარკვეული აკრძალვები დაუწესეს ისედაც შეჭირვებულ ხალხს. გვესმის, სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით. თეთრზე შავით გვიწერია, რომ ვაქცინის ვარგისიანობის გამოცდას მინიმუმ 5–6 წელი სჭირდება. სწორედ ეს ბადებს ეჭვებს. არავინ უწყის, ადამიანის ორგანიზმში რა შეყავთ, მით უმეტეს, ბევრი შემთხვევა ვაქცინაციის შემდეგ სავალალოდ დამთავრდა. ჩვენ ვხედავთ, როგორ ისჯებიან გარკვეული ქვეყნები, საიდანაც მოდის ყოველგვარი უმსგავსოება. ამასწინათ ამერიკას დიდმა შტორმმა გადაუარა და 6 შტატი მთლიანად გაანადგურა. ასევე ხდება ევროპის სხვა ქვეყნებში ბუნებრივი კატაკლიზმები. ამიტომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყოველივეს ღმერთი მართავს, მხოლოდ ის არის ჩვენი მხსნელი.

**— მამაო, ვიცით, რომ ყველა ქრისტიანი, ცოდვილი თუ უცოდველი, ერთნაირად სათნო არს ღვთისთვის. მიხეილ სააკაშვილს მეუფეები რომ აზიარებენ, კანონიკურად ეს დასაშვებია?**

— გეთანხმებით, ცოდვილნიც თუ უცოდველნიც სათნო არიან ღმრთისათვის, გააჩნია, რა ცოდვა აქვთ ჩადენილი. ზიარება ეკლესიური რიტუალის ერთ-ერთი საიდუმლოა. მე არ ვიცი, სააკაშვილმა რა აღსარება ჩააბარა, მაგრამ ზიარება ეს ისეთი ფაქიზი საიდუმლოა, უღირსად მიღება ცეცხლ არს და დასწვავს. ზიარების წინ ადამიანი ინანიებს თავის ცოდვებს, შენდობას ითხოვს ყველასგან. გულწრფელი აღსარების შემდეგ მოძღვარი შესაბამისად გადაწყვეტს მის ზიარებას. სააკაშვილის მიერ ჩადენილი ცოდვები პიროვნებების მიმართ, ქართველი ხალხის მიმართა, ქვეყნის წინაშე. მას რომ ღირსეული ზიარება მიეღო, ის უნდა გამოსულიყო ჯერ ქვეყნის წინაშე, მისი რეჟიმის მიერ გაუბედურებული ოჯახების წინაშე შენდობა ეთხოვა. იბადება კითხვა, ვინმესთვის უთხოვია შენდობა? პირიქით, თავისი და მისი სექტის მიერ ჩადენილი დანაშაულობების სხვისთვის გადაბრალების რეჟიმშია, რომ უცოდველია, სამშობლოს სიყვარულისთვის თავი გასწირა, ჩამოვიდა, დარაზმა გავეშებული ბრბო, მოუწოდებს დესტაბილიზაციისკენ, სახელმწიფო გადატრიალებისკენ. თვით ცოდვილი სხვებსაც დანაშაულისკენ უბიძგებს, ცოდვებში აგდებს. სიტყვები ძნელი მოსაძებნია ამ ბოროტად ორგანიზებული დამნაშავეთა ბრბოს მიერ მართული პროცესების შედარებისთვის.

სამშობლოსთვის გულანთებული ადამიანი თავისი სექტის წარმომადგენლებს პოლარიზაციისკენ, სახელმწიფო გადატრიალებისკენ კი არ მოუწოდებდა, არამედ დაარიგებდა: დაწყნარდით, დამშვიდდით და თქვენი წვლილი შეიტანეთ ქვეყნის საკეთილდღეოდო. ამ ნაბიჯს მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი გადადგამს და არა ის ადამიანი, რომელიც, სამწუხაროდ, მართლმადიდებლურ ეკლესიებს არბევს. ახლა თქვენ გამოიტანეთ დასკვნა, სააკაშვილმა ღირსეულად მიიღო ზიარება?

**— ამ და სხვა საკითხებზე საქართველოს ეკლესიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ეს რას მიანიშნებს — ეკლესია გახლეჩილია?**

— ჩემო კარგო, ნათქვამია, დაანაწევრე და იბატონე. სამწუხარო რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით, ვერც დავფარავთ. არეულია, გახლეჩილია როგორც ერი, ასევე ბერი. ჩვენი სახელოვანი მეფეები ეკლესიას მიმართავდნენ ყოველგვარი დილემის გადასაწყვეტად. მეფეთმეფე თამარი ყოველი ბრძოლის წინ ფეხშიშველი შედიოდა ეკლესიაში, ლოცულობდა, სამშობლოს უფალს ავედრებდა, მერე ჯვრით ხელში ჯარს მიუძღვოდა. ეკლესიაც ისეა დანაწევრებული, ვერაფერს გაიგებ. სააკაშვილის მიერ ჩანერგილი იერარქები არაფერს ერიდებიან, რათა ერთიანობა არ სუფევდეს. უფრო მეტიც, ეკლესია მართული იყო სააკაშვილისგან. ქვასროლია ბოკერია და ძმანი მისნი სინოდის კრებებს მართავდნენ, ბიუჯეტის ქურდი უგულავა ეპისტოლეებს ამოწმებდა. სასულიერო პირებს კომპრომატებით ემუქრებოდნენ. სწორედ ამან მიგვიყვანა ამ ქაოსამდე. ვერაფერი ლაგდება, რამეთუ სააკაშვილის მართული ეპისკოპოსები ისევ იქ არიან, ისევ ურევენ ყოველივეს. კიდევ ბევრს გვითმენს ღმერთი. მეკითხებით, გამოსავალი რაშია. გამოსავალი ჯერ კიდევ არის და აუცილებელი, რომლის აღსრულებაში მთავრობამ უნდა დადოს მნიშვნელოვანი წილი. რაც შეიძლება უმოკლეს დროში მოიწვიონ რუის-ურბნისის მსგავსი კრება, ყოველგვარი ძალისხმევით განიდევნონ უღირსნი ეკლესიის წიაღიდან, შეივსოს ღირსეული მსახურებით. მაშინ ძალა ექნება ეკლესიის ხმას, როგორც წარმმართველ სულიერ კერას, რამეთუ კომპრომატით ვერ დააშინებენ. მოვუწოდებ ერის საღად მოაზროვნე ინტელიგენციას, ვისაც მართლაც აწუხებს შინაური თუ მომხვდური მტრების რკალში მოქცეული ჩვენი ბედკრული ქვეყნის ბედი, ერთიანი ძალით მოვთხოვოთ ეკლესიის საჭეთმპყრობელებს, ხელისუფალთ, კრების მოწვევა. თუ ეს არ მოხდება, ერთ წრეზე ვიტრიალებთ.

მე ამის შესახებ ათეული წლების წინ ვსაუბრობდი, მაგრამ ჩემი თხოვნა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

შევახსენებ საქართველოს ეკლესიის მესვეურთ: პირველ რიგში, ღმერთის წინაშე პასუხს ეკლესია აგებს ერის ასეთი გადაგვარებისთვის, ამიტომ თითოეული ჩვენგანის, განსაკუთრებით, ღვთისმსახურთა წარსული თუ აწმყო სუფთა უნდა იყოს, რათა თავაწეულნი ებრძოლონ ყოველგვარ უკეთურებას, რათა ზეციურმა მამამ მიიღოს სუფთა, გულისხმიერი ლოცვა ჭეშმარიტ ღმრთისმსახურთაგან. მხოლოდ ამით ეშველება ერს. სხვა გზა ხსნისა არა არს, რამეთუ წმიდა წერილი გვამცნობს: „ხალხმა უფრო მეტად შეიყვარა ბნელი, ვიდრე ნათელი, ვინაიდან ბოროტნი იყვნენ მათი საქმენი" (ინ. 3–19,20).

ვურჩევდი ფაქტობრივ ხელისუფალთ, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რამეთუ მას შეჰყურებს ერი იმედის თვალით. მე, როგორც სულიერი მოძღვარი, მრავალჭირვარამგამოვლილი, გეტყვით: დიდი მისია დაგაკისრათ უფალმა, დიდი გამოცდის წინაშე დგახართ. გავიხსენოთ, ჩასაძირად განწირულ გემს კაპიტანი თან მიჰყვება, ღმერთმა დაგვიფაროს ჩაძირვისგან, მაგრამ ზღვარზე ვდგავართ. ერთმა დიდმა შეცდომამ, კოჰაბიტაციამ, სადამდე მიგვიყვანა, ვხედავთ. ახლა სხვა სახით გვთავაზობენ თანაცხოვრებას — შერიგებით, რომელსაც წინ უძღვის პროვოკაციული მოთხოვნები. იმედს ვიტოვებთ, ეს არ მოხდება, რამეთუ აქ დაშვებული შეცდომა ჩაძირვის ტოლფასია. მე მარტო, ერთი მღვდელი, ბატონ გურამ შარაძესთან ერთად ვებრძოდით ერის, სარწმუნოების მოღალატეებს, პატიმრობის დროს რამდენჯერ სცადეს ჩემი ლიკვიდაცია, არ გამოუვიდათ. ქედი არ დამიხრია იეღოველთა სექტის მფარველებისთვის (ამერიკა, დასავლეთი), აქ კიდევ სააკაშვილისთვის. ჩემი მრევლით მოვედით დღემდე. ციხის კედლებიდანაც კი ვებრძოდი. ავაგეთ გრანდიოზული ტაძარი — სასულიერო კერა, სადაც ვადიდებთ უფალს.

ბატონო ირაკლი, მეტად რთული დილემის წინაშე ვდგავართ. დავდებთ ჩვენს ტრადიციებს, მენტალიტეტს, იდენტობას, სარწმუნოებას დასავლეთთან ურთიერთობის საპირწონედ? თქვენ ერთხელ დათმეთ თანამდებობა ამ ღირებულებების დასაცავად. ახლაც ამ ზღვარზე ვდგავართ. ერი თქვენ გვერდით დგას.

„კეთილო მონავ, რაკი მცირედში სანდო იყავს, დიდს განდობ შენ, შემოდი შენი პატრონის სიხარულში" (მთ. 25–23).

შევახსენებ ეგზალტირებულ დაჯგუფებებს, ძალიან ცივილიზებულად რომ წარმოადგენენ თავს, სწორედ, ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში ხელისუფალი არჩევნების გზით იცვლება. ვიმყოფებით ქრისტეს მეორედ მოსვლის გარიჟრაჟზე, როცა მოხდება საშინელი განკითხვა, სადაც ყოველნი ერთბაშად წარვსდგებით. მაშინ უფალი უვედრებელ იქმნების. ენანი დადუმდნენ და საქმეთა იწყონ მეტყველებაი, ვის რა ჩაუდენია ამ ცოდვილ დედამიწაზე. იქნებ, გააცნობიეროთ, რა ზიანს აყენებთ ქვეყანას.

ხალხს მოთმინების ფიალა აღევსო. ვიღვიძებთ სააკაშვილით: რით გამოიკვება, როგორ ეძინა, მთელ დღეს მის ირგვლივ აგორებულ ინფორმაციულ კორიანტელში ვატარებთ. მათი ზღვარსგადასული ტელევიზიები, საიდანაც მხოლოდ სიყალბე, შური, ბოღმა, ფაქტების დამახინჯება, მოღალატე სააკაშვილის უცოდველად წარმოჩენა გვესმის. საღამოს კვლავ სააკაშვილის პრობლემების მოსმენით ვიძინებთ. დაიღალა ხალხი. ვერ გავიგეთ, რა ხდება, ნუ ცდით მათ მოთმინებას. დაგვცინით?

კვლავ მინდა პირველ კითხვას დავუბრუნდე. თუ ჩვენ გვინდა ყველა მტკივნეული საკითხი სინანულით და მოლაპარაკებებით გადავჭრათ. მაშინ ვაწარმოოთ მოლაპარაკებები აფხაზეთთან და ოსებთან. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ დავიბრუნოთ ჩვენი დაკარგული ტერიტორიები. დასავლეთი არ არის ჩვენი პატრონი. გონს მოვეგოთ, ქართველნო. მიისწრავით ევროინტეგრაციისკენ, ნატოსკენ... იცით თუ არა, რომ იქ დიდი ხანია დაკანონდა ერთსქესიანთა ქორწინება, იქ მიღებულია ყოველგვარი სიბილწე, რაც მიუღებელია ტრადიციული ერისთვის, ჩვენ ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და არ გვეგების მავანთა მოცემულ გაკვეთილებს ვასრულებდეთ. ნუ დავემონებით მათ, ვინც სოდომიზმისკენ მიგვაქანებს, ჩვენ მხოლოდ ლოცვით, ღმრთის შეწევნით დავძლევთ ყოველივეს. უარი ვუთხრათ რწმენის მოღალატეებს.

„ყველაფერი, რასაც ლოცვაში ითხოვთ, რწმენით მოგეცემათ" (მთ. 21–24).

დაბოლოს, საქართველო, იბერია, მართლმადიდებლობა, ერთი მცნება არს, ურთიერთას შერწყმული, შედუღაბებული. ერი, რომელიც თავის არსობიდან შეუდგა ქრისტეს სჯულს, მის ბილიკზე მიაბიჯებს მძიმე ჯვრით; ენა, მამული, სარწმუნოება და ამ პათოსისთვის არ უღალატია. ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში თასი — პურითა და მარილით. იცავდა წინაპართა დანატოვარს, აწმყოს, ჭედდა მომავალს. ერი საზეპურო, რომელსაც გადაშენება არ ეგების, ერი დავითისა, თამარისა, ვახტანგისა, დემეტრესი, ასი ათასი მოაწმისა, 6000 გარეჯელთა, ქეთევანისა, შუშანიკისა და დღეს, მიუხედავად არსებული სავალალო რეალობისა, საქართველო დგას თავის წინაპართა ნაკვალევზე და ჩვენ, ყველანი ერთად, არ დავუშვებთ, შეგვიბღალონ მათი წმიდა ხსოვნა. მათი წმიდა მოგონებით ვულოცავ მთელ საქართველოს, მსოფლიოს მართლმადიდებლებს უდიდეს დღესასწაულს — შობას უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი.

დაე, ეს დღესასწაული ყოფილიყოს დასაბამი საქართველოს ერთიანობისა, ეკლესიის განწმედისა და ერთიანობისა, რათა ერთობით ვადიდებდეთ უფალსა!

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# რას მოუტანს მსოფლიოს ვეფხვის წელიწადი?



„...ვნახოთ, წლის ბოლოს რა იქნება“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში რუს კოლეგასთან, ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის შემდეგ.

პრეზიდენტები ერთმანეთს პირისპირ ორ საათს ესაუბრებოდნენ. მოლაპარაკებამ უკვე გამოიღო შედეგი — ქვეყნების პოლიტიკოსებმა ერთმანეთის მიმართ ხისტი განცხადებები საგრძნობლად შეარბილეს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. შესაძლოა, ჯო ბაიდენისა და ვლადიმირ პუტინის დიალოგი მალე გაგრძელდეს. პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტები რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში, თუნდაც იგივე შვეიცარიაში პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს. საამისოდ უკვე არის წინაპირობები. განსახილველი სადავო საკითხები პრეზიდენტებს ბევრი აქვთ.



რუსეთის პრეტენზიები საყოველთაოდ ცნობილია, ქვეყნის პრეზიდენტს არაერთხელ უსაუბრია ე.წ. „წითელ ხაზებზე“. ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად სამიტზე პუტინმა ყველა შეთანხმების იურიდიულად გაფორმება დააყენა. მისი განცხადებით, ბაიდენმა შესთავაზა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც განიხილავს მათ პრეტენზიებს და გამონახავენ საერთო ენას, მიაღწევენ ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას. ცნობილი გახდა კარენ დორტლის საგარეო საქმეთა სამინისტროში სწორედ რუსეთის პრეტენზიები და თავიანთი ხედვა პრობლემების მოგვარების გზებზე წერილობით, დოკუმენტის სახით გადასცეს თავისი ქვეყნის პრეზიდენტს. სერგეი რიაბკოვის განცხადებით, მათი წინადადებები კომპლექსურად უნდა განიხილონ აშშ-ში და მიიღონ. მისივე თქმით, რუსეთის მხარე მზად არის, თავადაც აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა წინადადებების განხილვა-შესრულების პროცესში. რომელიმე საკითხის ამოღებამ შეიძლება მოლაპარაკება ჩაშალოს. უკრაინისა და საქართველოს არგაწევრიანების მოთხოვნას სხვა პუნქტებიც დაემატა. კერძოდ, რუსეთი ითხოვს, ყოფილი საბჭოეთის არცერთი ქვეყანა არ გააწევრიანონ ნატოში, აღარ განათავსონ რაკეტები ყოფილი „ვარშავის ხელშეკრულების“ (აღნიშნული ალიანსი გასული საუკუნის 50-იან წლებში სოციალისტურმა ქვეყნებმა შექმნეს ნატოს საპირწონედ) ქვეყნებში და იქ არსებული გაიტანონ... წარდგენილი წინადადებები რუსეთის მხარემ გაასაჯაროვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია.

ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთმა ულტიმატუმი წაუყენა აშშ-სო. რიაბკოვმა კატეგორიულად უარყო ასეთი შეფასება და პრესას სთხოვა, მსგავსი გამონათქვამებისგან თავი შეიკავონ. თუმცა, რუსეთის დუმის დეპუტატის ვიაჩესლავ ნიკონოვის თქმით, ათწლეულების მანძილზე რუსეთმა პირველად წაუყენა აშშ-ს მსგავსი კატეგორიული მოთხოვნები. მოსკოვმა, ასევე, შესთავაზა ვაშინგტონს, აღარ ჩათვალონ თავიანთი ქვყნები ერთმანეთის მოწინააღმდეგეებად. თეთრი სახლიდან გავრცელებული ინფორმაციით, წარდგენილი წინადადებების ნაწილი მათთვის მიუღებელია, მაგრამ მოლაპარაკებების გაგრძელებაზე უარს არ ამბობენ. უფრო მეტიც, მზადყოფნას გამოთქვამენ ახლო მომავალში ბაიდენ-პუტინის პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობაზე. ჯეიკ სალივანის თქმით, აშშ მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებაზე. სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი არ გამორიცხავს და შესაძლებლად მიიჩნევს ნატო-რუსეთის დიალოგის განახლებას.

დიალოგის გაგრძელების მზადყოფნის გამოთქმის მიუხედავად, ექსპერტებისთვის მაინც გაურკვეველია, როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები, პოლიტოლოგები აღნიშნავენ, პუტინმა ბაიდენს დიპლომატიურად მიანიშნა, „წითელი ხაზები“ გადაკვეთილია და უკან დახევას აღარ აპირებს. მათივე თქმით, მოთხოვნა-წინადადებებეში მხარეებისთვის ყველაფერი მისაღები არ იქნება, მაგრამ კომპრომისი აუცილებელია. ორ ქვეყანას შორის დიალოგის, მოლაპარაკების ჩაშლა რუსეთს ხელ-ფეხს გაუხსნის, დაიკარგება შემაკავებელი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ვითარების დასტაბილიზებისთვის აშშ-მაც რამდენიმე ნაბიჯით უნდა დაიხიოს უკან. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. თუმცა, შობის დრესასწაულის მოახლოების გამო სიახლეებს იანვარში უნდა ველოდოთ.

ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოვლენა გასულ კვირას ჩინეთის მმართველის სი ძინპინისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის დისტანციური შეხვედრა იყო. ქვეყნების მეთაურები ერთმანეთს კარგად იცნობენ და ხშირადაც ხვდებიან. „მივესალმები ჩემს ძვირფას უახლოეს მეგობარს ვლადიმირ პუტინს“. ასევე ძვირფას ახლო მეგობრად მოიხსენია პუტინმა სი ძინპინი. მათი საუბარი მხოლოდ საათ-ნახევარს გაგრძელდა. ანალიტიკოსების ერთმა ნაწილმა ასეთი მოკლე დიალოგი იმით ახსნა, რომ ერთ-ერთ მხარეს დაცული სიხშირე არ აქვს. ექსპერტების მეორე მხარე მიიჩნევს, სწორედ ყველას გასაგონად ლაპარაკობდნენ ქვეყნების მეთაურებიო. განსახილველი საკითხებიდან ერთ-ერთი მთავარი შინაურ საქმეებში ჩაურევლობა გახლდათ. განიხილეს ეკონომიკური საკითხებიც. როგორც სამიტზე ითქვა, ქვეყნებს შორის სავაჭრო ტვირთბრუნვა მომავალ წელს 200 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ასევე ითქვა, რომ ჩინეთი და რუსეთის გაზრდიან ეროვნულ ვალუტებში ანგარიშსწორებას.

განსაკუთრებული ყურადღება სი ძინპინმა და ვლარიმირ პუტინმა პოლიტიკურ საკითხებს დაუთმეს. ორივე ქვეყნის მეთაურმა შეშფოთება გამოთქვა წყნარი ოკეანის აუზში ახალი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის **AUKUS**-ის შექმნის გამო. ჩინეთის მხარე მიიჩნევს, რომ სამხედრო ბლოკი მათ წინააღმდეგ არის გამიზნული, თუმცა საჯაროდ ამ საკითხზე აღარ უსაუბრიათ. როგორც ცნობილია, აშშ-მ, ავსტრალიამ, კანდამ და სხვა რამდენიმე ქვეყანამ პეკინის ზამთრის ოპიმპიურ თამაშებს პოლიტიკური ბოიკოტი გამოუცხადა. „სპორტის, მით უფრო, ოლიმპიადის პოლიტიზირება ყოვლად მიუღებელია“, — თქვა ამის შესახებ პუტინმა.

აღსანიშნავია, რომ ჯო ბაიდენთან ვიდეოშეხვედრამდე პუტინი ინდოეთში ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა, სადაც პრემიერ-მინისტრ ნარენდრო მოდის პირისპირ შეხვდა. მათ ოცამდე ხელშეკრულება გააფორმეს. საინტერესოა, რომ ინდოეთსა და ჩინეთს შორის არსებობს უთანხმოება, მაგრამ ერთმანეთთან თანამშრომლობენ, განსაკუთრებით „შანხაის თანამშრომლობის“ ორგანიზაციაში. ამ



ორ დიდ ქვეყანას მჭიდრო ურთიერთობა აქვთ რუსეთთან.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარტნიორული სამიტი პირველი ოფიციალური საერთაშორისო ღონისძიება გახლდათ გერმანიის ახალი კანცლერის, ოლაფ შოლცისთვის. სამიტზე კანცლერი თავშეკავებული იყო, არანაირი მკვეთრი განცხადებები არ გაუკეთებია. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ პირისპირ შეხვედრისას სამხედრო იარაღი სთხოვა, რაზეც შოლცმა კატეგორიული უარით უპასუხა. ამის გარდა, კანცლერმა ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს ანალენა ბერბოკს აუკრძალა გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ბლოკირებაზე საუბარი. სავარაუდოდ, მოღვაწეობის დასაწყისშივე არ უნდა, შეცდომები დაუშვას. გერმანიის გარდა რუსეთთან დიალოგს ევროკავშირის ქვეყნებიდან ითხოვენ ავსტრიის, ესპანეთის, იტალიის, უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. ნატოს ჯერ კიდევ მოქმედმა გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რუსებს არავინ ეკითხება უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანებას ნატოშიო, მაგრამ პოზიცია მალე შეცვალა. რუსეთის წინადადებაზე ნატოს არგაფართოების თაობაზე განაცხადა, რომ ჯერ ალიანსის წევრ ქვეყნებთან გავივლით კონსულტაციებს და მერე მივიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებასო. ფაქტობრივად, გაიმეორა თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადება.

გასულ კვირას აშშ-ში გასაჯაროვეს 35-ე პრეზიდენტის, ჯონ კენედის მკვლელობის 1500-გვერდიანი მასალები. თუმცა, ახალი არაფერია და კვლავ უცნობია მკვლელის ვინაობა. საიდუმლო მასალების ნაწილი, შეგახსენებთ, 2017 წელსაც გაასაჯაროვეს. საბუთების უმრავლესობას კვლავ ადევს გრიფი „საიდუმლო“. როდის იხილავს დღის სინათლეს გახმაურებული საუკუნის მკვლელობის მასალები, უცნობია.

ამასობაში ახალი წელი კარს მოგვადგა. როგორი იქნება პოლიტიკურად 2022 წელი, უცნობია.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ძვირფასო მკითხველებო! იმედი ვიქონიოთ, ვეფხვის წელი სიკეთესა და ბედნიერებას მოუტანს თითოეულ თქვენგანს და ჩვენს სამშობლო საქართველოს.



**გია ბურდული**
551 71 27 07



# ნელსონ მანდელას ეპოქა

როლიჰლალა მანდელა სამხრეთ აფრიკის ტრანსკეის პროვინციაში დაიბადა 1918 წელს. ის ადგილობრივი ტომის ბელადის შვილი იყო. სახელი „ნელსონი“ მას სკოლის მასწავლებელმა შეარქვა, რომლისთვისაც „ნელსონი“ ალბათ უფრო იოლი წარმოსათქმელი იყო, ვიდრე როლიჰლალა.

ოჯახის წყალობით მანდელამ განათლება მიიღო უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ, ის ცოტა ხნით იოჰანესბურგში, პრაქტიკანტად მუშაობდა ერთ იურიდიულ ფირმაში. თუმცა აშკარა იყო, რომ კანის ფერის გამო მისთვის დაწინაურების შესაძლებლობა მეტად შეზღუდული იყო.

1948 წელს სამხრეთ აფრიკაში არჩევნები მოიგო ნაციონალურმა პარტიამ, რომელიც მხარს უჭერდა აპარტეიდის პოლიტიკას — ერთმანეთისგან რასების სრულ განცალკევებას. ამ პოლიტიკის გამო შავკანიანებმა ის უმნიშვნელო უფლებებიც დაკარგეს, მანამდე რომ ჰქონდათ. მათ სამსახურებიდან ითხოვდნენ, უზღუდავდნენ თეთრკანიანებთან კონტაქტსა და საკუთარ ქვეყანაში გადაადგილებას, რის შედეგადაც თანდათან ისინი სრულიად გარიყეს საზოგადოებიდან.




აპარტეიდის სისტემის შემქმნელი, პრემიერ-მინისტრი ჰენდრიკ ფრენს ფერვურდი 1950-იან წლებში ხშირად ახსენებდა საკუთარ მხარდამჭერებს, რომ მისი პოლიტიკის მიზანი იყო ქვეყანაში თეთრკანიანთა უწყვეტი ბატონობის უზრუნველყოფა: „მეგობრებო, ეს რესპუბლიკა ამ სამყაროში თეთრკანიანი ადამიანის სამფლობელოს ნაწილია!“ — ასე მიმართა ერთ-ერთ გამოსვლაში ფერვურდმა თავის მხარდამჭერებს.

ნელსონ მანდელა აფრიკის ეროვნული კონგრესის ახალგაზრდულ ფრთას შეუერთდა. ეს მოძრაობა მხარს უჭერდა არაძალადობრივ წინააღმდეგობას და უპირისპირდებოდა იმ კანონებს, რომელთა წყალობითაც პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას სრულად აკონტროლებდნენ თეთრკანიანები.

რამდენიმე ათეული წლით ადრე, სანამ აპარტეიდის მკაცრ კანონებს შემოიღებდნენ, იმჟამად ნაკლებად ცნობილმა ინდოელმა ადვოკატმა, მაჰათმა განდიმ თავის სამშობლოში, ინდოეთში დაიწყო არაძალადობრივი ბრძოლა რასობრივი თანასწორობისთვის.

თავის მხრივ, მანდელას არაერთხელ უთქვამს, რომ განდი მისი შთაგონების წყარო იყო. თითქმის ოცი წელი ის ერთგულად მიჰყვებოდა განდის გზას. მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში მანდელა და მისი თანამებრძოლები მიხვდნენ, რომ მათი მოძრაობა წინ არ მიიწევდა.

მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, უფრო ხშირად იყენებდა ძალადობას წინააღმდეგობის ჩასახშობად და აპარტეიდის საწინააღმდეგო ყოველ გამოსვლას სასტიკად უსწორდებოდა. მანდელას თქმით, ამ გარემოებამ აფრიკის ეროვნული კონგრესი აიძულა, ძალადობისთვის ძალადობითვე ეპასუხა.

აფრიკის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აფრიკის ეროვნულმა კონგრესმა გადაწყვიტა, არ დაეწყო პარტიზანული ომი და საფრთხე არ შეექმნა მოქალაქეთა სიცოცხლისთვის. მათი ტაქტიკა სამთავრობო ობიექტებზე საბოტაჟის მოწყობა იყო. ისინი აფეთქებდნენ საფოსტო განყოფილებებსა და სატელეფონო სადგურებს.

1962 წელს მანდელა დაიჭირეს და ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ერთი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას, მანდელასა და აფრიკის ეროვნული კონგრესის სხვა აქტივისტებს, ბრალი დასდეს მთავრობის გადაგდების მიზნით შეთქმულების მოწყობაში. 1964 წელს მანდელასა და მის შვიდ თანამოაზრეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

მაშინ ზოგი ფიქრობდა, რომ მანდელას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ. პროცესის მსვლელობაში განსასჯელმა პირდაპირ უთხრა კიდეც მოსამართლეს, ჩამომახრჩეთ, თუ გამბედაობა გეყოფათო: „მე ვებრძოდი თეთრკანიანთა ბატონობას. მე ასევე ვებრძოდი შავკანიანთა ბატონობას. ეს არის იდეალი, რომელსაც ვუძღვნი ჩემს ცხოვრებას. თუმცა, ღვთის სახელით, თუ საჭიროა, მზად ვარ ამ იდეალისთვის მოვკვდე“, თქვა მანდელამ სასამართლო პროცესზე.

მოსამართლე შედრკა და მანდელა გადაიყვანეს კუნძულ რობენის ავადსახსენებელ ციხეში, სადაც მან 27 წელი გაატარა. ციხეში ყოფნისას მანდელა თანდათან იქცა მსოფლიოში ყველაზე ცნობილ სინდისის პატიმრად.

1990 წელს, ციხიდან გამოსვლისას, მას, როგორც გმირს, ისე შეეგება მთელი ქვეყანა. სამხრეთ აფრიკაში ახალი ეპოქა იწყებოდა. მომდევნო სამი წლის განმავლობაში, მანდელა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ **ფრედერიკ დე კლერკთან** ერთად ნიადაგს უმზადებდა აპარტეიდის ეპოქის დასასრულს. მათმა თანამშრომლობამ გზა გაუხსნა ქვეყნის პირველ, სრულფასოვან, დემოკრატიულ არჩევნებს. ამ მიღწევისთვის მანდელა და დე კლერკი ნობელის სამშვიდობო პრემიით დააჯილდოვეს.

1994 წელს ნელსონ მანდელამ გაიმარჯვა ქვეყნის პირველ, მრავალრასობრივ საპრეზიდენტო არჩევნებში. პრეზიდენტობის პერიოდში მანდელა აქტიურად ატარებდა შერიგებისა და შემწყნარებლობის პოლიტიკას, რისთვისაც საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა უკვე როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ.



მოგვიანებით ნელსონ მანდელა აქტიურად ჩაება შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მოძრაობაში. მან საჯაროდ ისაუბრა შვილის სიკვდილზე იმ დროს, როცა შიდსზე საუბარი, შეიძლება ითქვას, ტაბუირებული იყო.

საჯარო ცხოვრებას ნელსონ მანდელა 2004 წელს ჩამოცილდა.



თავისი მოღვაწეობით მანდელამ უზარმაზარი კვალი დაამჩნია სამხრეთ აფრიკის — და არა მარტო ამ ქვეყნის — საზოგადოებრივ ცხოვრებას. ბევრისთვის ის მაჰათმა განდის მსგავსი გმირია, რომელმაც საკუთარი ქვეყანა შეცვალა არა ძალის გამოყენებით, არამედ სხვებისთვის მორალური მაგალითის მიცემით.

მანდელა 4 დეკემბერს 95 წლის ასაკში გარდაიცვალა — მან, ფაქტობრივად, მთელი საუკუნე იცხოვრა და აქედან 27 წელი ციხეში გაატარა. მისი დაპატიმრება და მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა უკავშირდება სამხრეთ აფრიკაში რასობრივი სეგრეგაციის სისტემასთან — აპარტეიდთან ბრძოლას.

აპარტეიდი სამხრეთ აფრიკაში ოფიციალურად 1946 წელს დაკანონდა და 1990 წლამდე წარმოადგენდა რეჟიმს, რომელიც ამართლებდა თეთრკანიანი მოსახლეობის ბატონობას შავკანიან და ფერადკანიან მოსახლეობაზე.

მანდელას მიერ აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის ძალადობრივი მეთოდების აღიარებამ, მის კომუნისტურ შეხედულებებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ დასავლური კონსერვატორული წრეები მის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიით განწყობილი არ ყოფილან (თუმცა დასავლელი კონსერვატორების ნაწილი, ლიბერალების მსგავსად, მის ციხიდან გამოშვებას ითხოვდნენ და სამხრეთაფრიკული რეჟიმისთვის სანქციების დაწესების მომხრენიც იყვნენ). 1987 წელს ბრიტანეთის კონსერვატორი პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის ადმინისტრაციაში ამბობდნენ, რომ „აფრიკის ეროვნული კონგრესი ტიპური ტერორისტული ორგანიზაციაა... ვინმე თუ ფიქრობს, რომ ეს ორგანიზაცია მოვა სამხრეთ აფრიკის მთავრობაში, ღრუბლებში დაფრინავს".

ამ ფონზე მით უფრო დასაფასებელია მანდელას უნარი, გამხდარიყო სამხრეთ აფრიკასა და მსოფლიოში შერიგებისა და მშვიდობის სიმბოლო. 1990 წელს, ციხიდან გამოშვების შემდეგ, მანდელამ იმოგზაურა დასავლეთში, სადაც ხვდებოდა პოლიტიკურ ლიდერებს და სთხოვდა მათ პოლიტიკურ მხარდაჭერას აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ.

მანდელას ციხისშემდგომი მოღვაწეობა გამოირჩევა არა მხოლოდ იმით, რომ იგი პოსტაპარტეიდული აფრიკის პირველი პრეზიდენტი გახდა, არამედ იმითაც, რომ მისი თაოსნობით შეიქმნა აფრიკის „სიმართლის დამდგენი და შერიგების კომისია". კომისიამ შეისწავლა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები აპარტეიდის რეჟიმის დროს და მოძალადეების დასჯის ნაცვლად, აქცენტი შერიგებაზე გააკეთა. „სიმართლის დამდგენი და შერიგების კომისია" გახდა ერთგვარი მოდელი, რომელიც სამხრეთ აფრიკის პრაქტიკის შემდეგ სხვა, მსგავსი პრობლემების მქონე, ქვეყნებშიც დაინერგა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა სამხრეთ აფრიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტის ნელსონ მანდელას მოღვაწეობას აშშ-ის პირველი შავკანიანი პრეზიდენტისთვის — ბარაკ ობამასთვის აქვს. ობამამ ეს თავადვე აღნიშნა თავის 10 დეკემბრის გამოსვლაში, სადაც მანდელას განსაკუთრებულ დამსახურებებსა და XX საუკუნის ისტორიაში მის გამორჩეულ ადგილზე ისაუბრა. გარკვეული თვალსაზრისით, ის, რომ დღევანდელ მსოფლიოში რასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას წინანდელთან შედარებით განუზომლად მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ცალკეული პიროვნებების მიერ მსოფლიოსთვის მიცემული ჰეროიკული მაგალითების დამსახურებაა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მაგალითი სწორედ ნელსონ მანდელამ მოგვცა, რომელმაც სამართლიანობისთვის ბრძოლას ციხეში გატარებული 27 წელი შესწირა.

**მომზადებულია ინტერნეტმასალების მიხედვით**

# ჯანდაცვის სფერო მთლიანად კორუფციულ სქემაზეა აგებული, საავადმყოფოები სასაკლაოებად და ადამიანების საძარცვავ ადგილად იქცა

## სისტემა უნდა დაინგრეს!

**წლებია ჯანდაცვის სისტემაში შექმნილ კატასტროფულ ვითარებაზე საუბრები არ წყდება. ერთი დღე პალატაში წოლა 100 ლარიდან იწყება. ინტენსიური თერაპიის განყოფილება, მედიკამენტების გარეშე, 300–400 ლარი ჯდება. თუ მძიმე დაავადებასთან გვაქვს საქმე, ადამიანს საავადმყოფოში წოლა ერთი დღე 1500 ლარი უჯდება.**

**ვისთვის ფუნქციონირებს ე.წ. მრავალპროფილური საავადმყოფოები? ვინ ძარცვავს მოსახლეობის ისედაც შეთხელებულ ჯიბეს — სახელმწიფო თუ ექიმები? რატომ აფინანსებს სახელმწიფო მავანის მიერ ხელში ჩაგდებულ გარანტირებულ ბიზნესს? რამდენად არის დაცული პაციენტის უფლებები? ამ საკითხებზე ჯანდაცვის დამოუკიდებელი ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ დამფუძნებელი მარინა ბერაძე გვესაუბრება:**



— არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული კრიტერიუმები, რის მიხედვითაც კარგი ჯანდაცვის სისტემა ექვს მნიშვნელოვან ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს. ყველა ქვეყნის ჯანდაცვა, სწორედ ამ კრიტერიუმებით ფასდება. მოდით, ამ ექვსი ელემენტიდან პირველი მათგანი განვიხილოთ. ეს გახლავთ სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სამსახურების, პირველადი ჯანდაცვის ობიექტებისა და ჰოსპიტალური სექტორის ისეთი ორგანული კავშირი, რომელიც სამედიცინო დახმარების უწყვეტობას და გარანტირებულ ხარისხს უზრუნველყოფს. მაშ, ასე, რა ვითარებაა, დღეს, ჰოსპიტალურ სექტორში. აქ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ 100 ახალი საავადმყოფოს პროექტი, რომელიც ჩავარდა. დღემდე, სწორედ ამ გზით მოვედით. პროექტის მიზანი თბილისსა და რეგიონებში, პირდაპირი მიყიდვის წესით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა საავადმყოფოს პრივატიზაცია და მიღებული თანხების ხარჯზე, ყოველგვარი დამატებითი ფინანსების მოზიდვის გარეშე, 100 ახალი საავადმყოფოს აშენება გახლდათ. ანუ, ფაქტობრივად, „მშენებლები“ საავადმყოფოებს სახელმწიფო საკუთრების ხარჯზე ააშენებდნენ, რაც მათი კერძო საკუთრება გახდებოდა. აღნიშნული მეგაპროექტის განხორციელების პროცესში დარღვევები გამოიკვეთა. კერძოდ, ეს თავისუფალ ბაზარს, კონკურენციას, რეფორმის არსს, პაციენტის უფლებებს ანადგურებდ და ამ სფეროში, სახელმწიფო ინტერესებს კარდინალურად ეწინააღმდეგებოდა. შედეგად, ჰოსპიტალური სექტორი, პრაქტიკულად, მთლიანად კერძო სადაზღვევო კომპანიებს გადაეცათ, რომელთაც სხვადასხვა რეგიონში 15–20–25 და 100 საწოლიანი მრავალპროფილური საავადმყოფოების აშენება ევალებოდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფაქტმა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა. ეს კომპანიები ინფრასტრუქტურას სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტიდან



სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრებით ქმნიდნენ. ეს გახლავთ იმის წინაპირობა, რა პროცესიც ახლაც გრძელდება. მოხდა, ერთადერთი, პატარა ცვლილება — ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან გამოსყიდვის პროცესი დაიწყო. ანუ, კერძო საავადმყოფოების გარკვეული ნაწილი ისევ სახელმწიფო უნდა გახდეს. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია. ასეთი მრავალწლიანი, მახინჯი მიდგომის შედეგად, ბევრი ბრძოლაა საჭირო, რათა რეფორმა ნორმალურად განხორციელდეს და ძლიერი სახელმწიფო ჰოსპიტალების გაერთიანება გვქონდეს, რათა მისი მართვა შესაძლებელი იყოს. დღეს ასეთი ვითარებაა — სახელმწიფომ კერძო საავადმყოფოებს არამხოლოდ ინფრასტრუქტურა შეუქმნა, არამედ მათ ამჟამინდელ ფუნქციონირებასაც საკუთარ თავზე, სრულად, სწორედ სახელმწიფო იღებს. ეს ძალიან ცუდია. რაც მთავარია, სახელმწიფოს არ გააჩნია არავითარი ბერკეტი ამ პროცესში ჩაერიოს. მით უმეტეს, რომ ჰოსპიტალურ სექტორში არსებული ვითარება სახარბიელო ნამდვილად არ არის, რისი შესწავლაც საერთოდ არ ხდება. სახელმწიფოს ფუნქცია, პროგრამების სახით, მხოლოდ ფულის გადახდაა.

როცა საავადმყოფო დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს (პაციენტი მისთვის მოგების წყაროა), ცდილობს მეტი ავადმყოფი ჰყავდეს და შედეგად, სახელმწიფოს ხარჯზე, მეტი ფინანსები მოიზიდოს. ეს საავადმყოფოებისთვის ფინანსების მოსაზიდად მარტივი და მოკლე გზაა. პაციენტის ინტერესი არათუ დაცულია, არამედ დაზიანებულიც კი არის. დიახ, მთელი რიგი შემთხვევები განპირობებულია იმით, რომ პაციენტები ჰოსპიტალში არამიზნობრივად ხვდებიან. მეტიც, მათ იქ, არასწორი და ბევრი კვლევა უტარდებათ. თუ რა გაიდლაინის მიხედვით მიდის მკურნალობა, ამის შესახებ, ინფორმაცია, ფაქტობრივად, არ გვაქვს. ჯანდაცვის ექსპერტი ვარ და მეც კი ოფიციალურ ინფორმაციას არავინ მაწვდის, საქმის კურსში არ გვაყენებენ. არაოფიციალური წყაროებიდან კი ძალიან ცუდი ინფორმაციებს ვისმენთ. მაგალითად ის, რომ სწორი მკურნალობა შეგნებულად არ ტარდება, სპეციალურად ხდება პაციენტის დამძიმება, გარდაცვალებამდე მიყვანა იმიტომ, რომ ასე აწყობთ. ამიტომ, სისტემა გამჭირვალე უნდა იყოს. ასევე, აუცილებელია, ჯანდაცვის სამინისტროს ჰქონდეს ბერკეტი, რათა შეამოწმოს ყველა ის პროცედურა და ჩატარებული მკურნალობა, რისთვისაც ფულს იხდის. ეს ხალხის ფულია. ამიტომ, მათ სათანადო ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ. ჩვენ არ გვყავს პერსონალი, რომელიც ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს. დამნაშავე ექიმი კი არ არის, რომელიც გადაღლილია — მას ხომ უწევს უმკურნალოს პაციენტებს, რომელთაც საავადმყოფოში ყოფნა, საერთოდ, არ სჭირდებათ. ექთანი, მომვლელიც კი არ გვყავს, რაც შემაშფოთებელია.

**— ანუ, არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე?**

— არაპროფესიონალიზმიც არის და არასაკმარისი კადრების პრობლემაც. ზემოთ, კერძო ჰოსპიტალური სექტორის ხარვეზები ვახსენეთ. თუ იგი, სახელმწიფოს მფლობელობაში იქნება, ბუნებრივია, მას მოგებაზე ორიენტირება არ დასჭირდება. როცა მოგებაზე ხარ ორიენტირებული, ცდილობ კადრები შეამცირო, შედეგად, ხარჯიც მცირდება. კერძო, მრავალპროფილური საავადმყოფოები, რომელთა გახსნა ისევ გრძელდება, სარფიანი ბიზნესი აღმოჩნდა. დიახ, როგორც ირკვევა, სამედიცინო ბიზნესი ყველაზე წარმატებულია. არადა, როგორ შეიძლება მისი ბიზნესად ჩათვლა, ეს ხომ ძალზედ სპეციფიკური დარგია. ბიზნესმენმა როგორ უნდა მართოს კლინიკა, დარგის სპეციალისტია საჭირო. საერთაშორისო სტანდარტები უნდა დამკვიდრდეს. ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ გამართული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მრავალპროფილური ჰოსპიტალი შეიქმნას და სამედიცინო დოკუმენტაცია სწორად შემუშავდეს. თითზე ჩამოსათვლელია ჰოსპიტალები, რომელთაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აქვთ. ისიც, რა დონეზე მუშაობს, ვინ არიან, როგორ ხდება მათი კონტროლი, არავინ იცის. იმიტომ, რომ კერძოა და იქ, არც ექსპერტს ახედებენ და არც არავის. პერსონალს ინფორმაცია არ გამოაქვს, სამსახურის დაკარგვის ეშინია.



**— საწოლები ახსენეთ. „ვოზის“ მონაცემებით, ერთი საწოლი 500 ათასი დოლარი ჯდება. 100 საწოლიანი საავადმყოფო, საშუალოდ 50 მილიონს საჭიროებს. იმავე, „ვოზის“ თქმით: 100 საწოლზე ნაკლებიანი ჰოსპიტალი, წამგებიანია. ჩვენთან, ამ მხრივ, რა მდგომარეობაა?**

— ბოლო წლების მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. რეგიონებში, ძირითადად, 15–20 საწოლიანი საავადმყოფოები იყო. ახლა ეს რიცხვი გაიზარდა, მაგრამ არსებობენ ჰოსპიტლები, სადაც ისევ ეს რაოდენობა დარჩა. ვინაიდან, ეს ბიზნესია, აქ, სხვა ინტერესები ტრიალებს. ეს ჩვენი მემკვიდრეობაა, მერე, რა მიაშენეს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის გახლავთ, რომ ეს საავადმყოფოები ყველა არარენტაბელური იქნება რომ არა სახელმწიფოს ფინანსები, რომლის ხარჯვა გამჭირვალე არ არის. არ ვიცით, ეს თანხები როგორ ნაწილდება. ერთეულების გარდა, ყველა ექიმი უკმაყოფილოა. აღარაფერს ვამბობ, ექთნებზე. ჩვენ, თითო-ოროლა ექიმზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, არამედ იმაზე, რომ დარგი პრესტიჟული გახდეს. დღეს, ექიმობა აღარავის უნდა, არაპოპულარული გახდა. აქ, შეცდომებს არავინ აღიარებს. ზოგს ფარმაცევტული, ზოგს სადაზღვევო სისტემის, ზოგსაც პირველადი ჯანდაცვის ინტერესი აქვს. ყველაფერი კერძოა. შეგნებულად არ ცვლიან არაფერს. განა, რომელ მფლობელს უნდა, თავის კერძო საავადმყოფოს, რომელსაც თავიდან ბოლომდე სახელმწიფო აფინანსებს, კონკურენტი გამოუჩნდეს?! კერძო სექტორს არ აწყობს სახელმწიფო ჰოსპიტალის გახსნის შესაძლებლობა გაჩნდეს. იგი, კონკუ-



რენციაში ვერ შევა, რადგან მისი ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის. ჯანსაღი კონკურენცია უნდა იყოს, შედეგად, პაციენტი თავად აირჩევს: სად ურჩევნია მკურნალობა. მაგრამ ეს როგორ უნდა მოხდეს, როცა ჩვენთან, საავადმყოფოებს აკრედიტაცია გავლილი არ აქვთ. წარმოუდგენელია, მაგრამ აკრედიტირებული სამედიცინო დაწესებულებები არ გაგვაჩნია. რასაკვირველია, ამ ყოველივეს წინა ხელისუფლება არ გააკეთებდა და ეს არც ამჟამად კეთდება იმიტომ, რომ ვინც მაშინ ხელისუფლებაში იყო, ახლა, კერძო მესაკუთრეა.

**— რეალურად, კმაყოფილი მხოლოდ საავადმყოფოს მფლობელია. ასე, როდემდე გასტანს? რომ არა სახელმწიფოს დაფინანსება, მათი „ბიზნესები“ აღარც იარსებებდა, ხომ?**

საერთოდ არ გვაქვს.

**— ქალბატონო მარინა, სამედიცინო მომსახურების ფასები კატასტროფულად არის გაზრდილი...**

— აღნიშნული საავადმყოფოები, პარალელურად, ფარმაცევტულ, სადაზღვევო ბაზარს ფლობენ. სახელმწიფო ამ საკითხში ვერ ერევა იმიტომ, რომ კერძოა. აქ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განხორციელება უნდა მოხდეს. დიახ, სწორედ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა გამორიცხავს არასაჭირო გამოკვლევას, წამლების დანიშვნას. როგორც მოგახსენეთ, პაციენტის მდგომარეობის გართულების შემთხვევაში, საავადმყოფომ ყველა ხარჯეზი უნდა აანაზღაუროს. თუ მკურნალობის დროს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, ესეც შეცდომად ითვლება. თუ



— კი ბატონო, ლოგიკური კითხვაა. სწორედ ამიტომ ეს სავადმყოფოები, მათი მფლობელები, გავლენიანი ადამიანები, აუცილებლად, ეცდებიან არ დაუშვან, რომ ძლიერი სახელმწიფო ჰოსპიტალური სექტორი გაჩნდეს. იმიტომ, რომ ეს თანხები მათ მოაკლდებათ. მსოფლიოში **არ არსებობს ქვეყანა, სადაც სახელმწიფო პროგრამების განხორციელება მთლიანად კერძო სექტორზე დამოკიდებული. განვითარებულ და განუვითარებელ ქვეყნებშიც, კლინიკების უმეტესობა სახელმწიფო საკუთრებაშია. გამონაკლისი მხოლოდ ჩვენ ვართ.** ჰიპოკრატე რას ამბობს? — არავნოო. აქ, კი ყველაფერი კეთდება, რომ პაციენტს ავნო. როგორ შეიძლება, ავადმყოფს 20 დღის მანძილზე სამი კომპიუტერული ტომოგრაფია გაუკეთო. ამ შემთხვევაში, ექიმები კი არ არიან მკვლელები ან კანონი კი არ ირღვევა, უბრალოდ, ის ავადმყოფი დამატებით მედიკამენტებს საჭიროებს, სამედიცინო დაწესებულებამ ესეც უნდა აანაზღაუროს. თუ პაციენტი გარდაიცვლება, ყოველგვარი ანაზღაურება უნდა უზრუნველყოს. წარმოგიდგენიათ, კოვიდით რამდენი ადამიანი გარდაიცვალა და არავინ გვეუბნება გამომწვევ მიზეზებს, რაში იყო საქმე! ექიმმა, საავადმყოფომ პასუხი არ უნდა აგოს?! პაციენტის ბრალია რომ გარდაიცვალა? აი, სადამდე მიგვიყვანა ამდენი შეცდომების მალვამ. ამიტომ, ახლა, პირდაპირ, რევოლუციური გარდაქმნები და პროცესში მთელი საზოგადოების ჩართულობაა საჭირო. ჩემი ორგანიზაციიდან ხუთი კაციდან ცოცხალი ორნი დავრჩით, ერთი უმძიმესად არის. ეს ამ ჯანდაცვის სისტემის შედეგია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

**თემის გაგრძელება იქნება**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69**



* * *

**მაინტერესებს თემა უპირატესი შესყიდვის უფლების შესახებ.**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 516–520-ე მუხლები მოიცავს თქვენთვის საინტერესო საკითხს. წარმოგიდგენთ ხსენებული მუხლების შინაარსს სრულად.

**მუხლი 516. ცნება**

1. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება, თუ ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას.

2. უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 517. ნივთის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ შეტყობინების მოვალეობა**

1. ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან.

2. უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირისათვის შეტყობინები თ. შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა.

3. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში.

**მუხლი 518. უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე შეთანხმების ბათილობა**

ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის არსებული შეთანხმება ბათილია, თუ ამით ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობაზე, ან ვალდებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება.

**მუხლი 519. დამატებითი ვალდებულების შესრულება**

1. თუ მესამე პირმა ხელშეკრულებით იკისრა დამატებითი ვალდებულება, რომლის შესრულების შესაძლებლობაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს არა აქვს, მაშინ მან დამატებითი ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება.

2. თუ შეუძლებელია დამატებითი ვალდებულების ფულადი შეფასება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია; დამატებითი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება ძალას კარგავს, თუ ხელშეკრულება დაიდო უპირატესი შესყიდვის უფლებისათვის გვერდის ასახვევად.

**მუხლი 520. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით**

ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება ნივთის მოწონების პირობით დაიდოს, თუ მყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ დაიწუნებს ნივთს. დაწუნების შემთხვევაში მხარეები მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

* * *

**— რას ნიშნავს კანონისმიერი მემკვიდრეობა?**

— იგივეა, რაც კანონით მეკვიდრეობა. დაგიკონკრეტებთ:

კანონით მემკვიდრეობის დროს კანონი თვითონ არეგულირებს, ვის უნდა დარჩეს გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) ქონება და რა რაოდენობით. ამ დროს არსებობს მემკვიდრეთა რიგითობის პრინციპი (სულ 5 რიგი), რაც იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

კანონით მემკვიდრეებს რიგითობის მიხედვით მიეკუთვნებიან:

I რიგში – გარდაცვლილის შვილები, შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები, (მშვილებლები).

ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით.

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე, დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილისშვილები და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილისშვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ;

II რიგში – გარდაცვლილის და, ძმა, დისშვილი და ძმისშვილი იმ შემთხვევაში, თუ მისი მშობელი ცოცხალი აღარ არის მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის;

III რიგში – ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა როგორც დედის, ისე მამის მხრიდან; ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან;

IV რიგში – ბიძები, დეიდები, მამიდები;

V რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

სამკვიდრო ერთი რიგის მემკვიდრეთა შორის ნაწილდება თანაბრად. ამ დროს მემკვიდრეთა უფლებებს შორის არ არსებობს განსხვავება სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით. მემკვიდრეთა შორის სამკიდროს გაყოფაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.



**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქორეოგრაფის**
**ლელა მაქაცარიას**
**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**თანაგრძნობას ვუცხადებთ კინორეჟისორ ლევან ანჯაფარიძეს მეუღლის**
**ლელა მაქაცარიას**
**გარდაცვალების გამო.**

**„საერთო გაზეთი“**

# სად ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნების თოვლის პაპები

მიუხედავად იმისა, რომ თოვლის პაპა ერთია, ყველა ქვეყანაში ისინი სხვადასხვანაირად გამოიყურებიან და ბავშვები ყველა მათგანს საშობაოდ სხვადასხვა მისამართზე უგზავნიან წერილებს. სად ცხოვრობენ თოვლის პაპები?

## ფრანგი თოვლის პაპა პიერ ნოელი

ფრანგ ზამთრის ჯადოქარს პერ ნოელი ჰქვია. ის ქვეყნის სამხრეთში, ლიბურნში ცხოვრობს. მას აქ მთელი სამდივნო ჰყავს. მრავალრიცხოვანი თანაშემწეები მთელი დღის განმავლობაში ბავშვების წერილებზე პასუხებს წერენ. საფრანგეთის ფოსტის თანამშრომლები ლიბურნში აგზავნიან ბავშვების თხოვნებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათზე მისამართი შეცდომით აწერია.

ამ შესანიშნავ ტრადიციას საფუძველი წინა საუკუნეში ჩაეყარა. ყველაფერი ფოსტის ერთი თანამშრომლის ინიციატივით მოხდა, რომელიც ბავშვების წერილებს პასუხობდა. როცა ნათელი გახდა, რომ ერთი ადამიანი ამას ველარ შეძლებდა, ფოსტის დირექციამ გადაწყვიტა, საინტერესო ექსპერიმენტი ჩაეტარებინა, რომელიც წარმატებით დასრულდა. ამგვარად გაჩნდა


იოულოპუკი

სანტას ოფისი თავისი თანამშრომლებით.

ამბობენ, რომ პერ ნოელი სტრასბურგში დაიბადა, სადაც ევროპაში ყველაზე ლამაზი ბაზრობა იმართება, მაგრამ მას კიდევ ერთი რეზიდენცია აქვს სენ-ბლეზში, ზღვისპირა ალპებში. სახლში შესანიშნავი განათებაა, მოვლილი ბაღი, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ წინასწარ შეიძლება შეუკვეთოთ „საუზმე თოვლის პაპასთან“, რომელიც გულთბილ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

საუზმის შემდეგ სტუმრები სახლში სეირნობენ, უწერენ წერილებს პერ ნოელს, სტუმრად შეუვლიან დედილო ნოელს, მერე კი საახალწლო საჩუქრების და ტკბილეულის მაღაზიასაც ეწვევიან.

მოკლედ, ფრანგი სანტა ძალიან კეთილი, სტუმართმოყვარე, შემოქმედებითი და მდიდარია, მას ხომ კიდევ ორი რეზიდენცია აქვს — კანადასა და შვეიცარიაში.

## ნორვეგიელი თოვლის პაპა იულენისენი

ნორვეგიულ საკურორტო ქალაქ სავალენში ცხოვრობს იულენისენი, კიდევ ერთი ჩრდილოელი სანტა-კლაუსი. ის მყუდრო სახლში ჯუჯა ნისესთან ერთად სახლობს, რომელიც სურვილებს ასრულებს. ნორვეგიელი სანტა ძალიან სტუმართმოყვარეა, ის ყველას ცხელი შოკოლადითა და ჯანჯაფილის ნამცხვრით უმასპინძლდება, მასთან შეიძლება ფოტოს გადაღება და საუბარი. იულენისენის რეზიდენციაში არის საახალწლო საჩუქრების დასამზადებელი სახელოსნო, ფოსტა, ირმების ფერმა. კეთილი თოვლის პაპა ყველაფრის ნახვისა და ხელის შევლების უფლებას აძლევს სტუმრებს. ის მათ უჩვენებს ცხენებს, ლამას და ცხვრებს, ასევე, სთავაზობს ძაღლების მარხილით გასეირნებას. ბევრი იქვე ახლოს მდებარე სამთო-სათხილამურო ცენტრში ჩერდება და იქაურობის ხშირი სტუმარია.

ყოველწლიურად იანვრის დასაწყისში სავალენში მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სანტა-კლაუსი ჩამოდის, რათა ერთმანეთს თოვლის გუნდებისა და საჩუქრებიანი ტომრების სროლაში და საკვამურში ჩაძრომაში შეეჯიბრონ.

## შვედი და დანიელი თოვლის პაპები იულტომტენი და იულემანდე

შვედი თოვლის პაპა იულტომტენი, რომელიც საშობაო ჯუჯას უფრო ჰგავს, სტოკჰოლმიდან 300 კმ-ის დაშორებით, სოფელ ტომტელენდში, ჯადოსნურ ტყეში ცხოვრობს პაწაწინა ჯუჯებთან ერთად. შვედი სანტას მდიდრულ რეზიდენციაში, სტუმრებს, ექსკურსიის გარდა, სხვადასხვა მასტერ-კლასს, ზამთრის თამაშებს, შეჯიბრებებსა და მხიარულ კონკურსებს სთავაზობენ.

დანიელი თოვლის პაპა იულემანდე კი გრენლანდიაში, ქალაქ ნუუკში, ჩრდილოეთ პოლუსიდან 240 კმ-ის დაშორებით ცხოვრობს, სადაც ზაფხულშიც კი ტემპერატურა 5 გრადუსს ზემოთ არ ადის.

## პოლონელი თოვლის პაპა წმინდა მიკოლაი

პოლონეთის ქალაქ კენტშინში მდებარეობს ადგილობრივი თოვლის პაპის რეზიდენცია, რომელსაც წმინდა მიკოლაის ეძახიან. ის სათამაშოების ფაბრიკის შენობაში დაბინავდა, რომლის პირველ სართულზე მაღაზია მდებარეობს, მეორეზე შუშის ოსტატების სახელოსნოებია, რომლებიც არაჩვეულებრივ მინის სათამაშოებს ამზადებენ, მესამე სართულზე კი საახალწლო ექსპონატების მუზეუმია. სამწუხაროდ, თავად მიკოლაის ვერ ნახავთ, რადგან მას ყოველთვის მესამე სართულზე სძინავს, ფაბრიკაში ექსკურსიას კი ამ ფაბრიკის დირექტორი ტადეუში, ატარებს, რომელმაც ეს ჯადოსნური სამყარო შექმნა.

## ამერიკელი სანტა-კლაუსი

ამერიკელი სანტა-კლაუსი ალიასკაზე, ქალაქ ნორტპოლში ცხოვრობს, რაც თარგმანში „ჩრდილოეთ პოლუსს“ ნიშნავს. აქ ცხოვრობს დაახლოებით ორი ათასამდე ადამიანი. სახლი 1952 წელს აშენდა. ის სულაც არ ჰგავს ზღაპრულ სასახლეს, უფრო საახალწლო საჩუქრების მაღაზიას ჰგავს, რომელიც სათამაშოებით, ნაძისხეებითა და საახალწლო მორთულობებითაა სავსე.

სახლი ჩვეულებრივია. ის ფიცრებისგანაა აგებული და თეთრად და წითლად არის შეღებილი. კედლებზე შიგნიდან პატარების წერილებია გაკრული. მომსვლელებს შეუძლიათ გაესაუბრონ სანტას და მის მეუღლეს, მისის კლაუსს, მათთან ერთად ფოტო გადაიღონ და იქვე მოსეირნე


სანტა კლაუსი

ჩრდილოეთის ირმებს აჭამონ.

სანტა სიამოვნებით აწერს ავტოგრაფებს საბავშვო წიგნებს და ყიდის ადგილობრივი ოსტატების მიერ დამზადებულ სუვენირებს.

ნორდ-პოლის მოსახლეობა შემოქმედებითი და შრომისმოყვარე ადამიანები არიან. ზამთრობით აქ ყინულის ქანდაკებების კონკურსი იმართება, აგებენ, ასევე, თოვლის ლაბირინთებსა და გორაკებს სტუმრებისთვის.

## ფინელი თოვლის პაპა და ბებო იოულუპუკი და იოულუმუორი

ფინელ სანტას იოულუპუკი ჰქვია და ლაპლანდიაში, როვანიემში ცხოვრობს, მკაცრ მხარეში, სადაც ზამთარი ჯერ კიდევ ოქტომბერში იწყება, თოვლი კი მხოლოდ გაზაფხულის ბოლოსთვის დნება. აი, აქ არის სანტა-კლაუსის სოფელი.

იოულუპუკი კორვატუნტურის მაღლობზე ცხოვრობს, რომელიც კურდღლის ყურებს ჰგავს. რეზიდენციაში ის სტუმრებს ხვდება — დიდებსა და პატარებს, თუმცა, თოვლის პაპისთვის ხომ უფროსებიც ბავშვები არიან. აქ აუცილებლად შეხვდები იოულუპუკს, მასთან სურათის გადაღებასაც შეძლებ, თუმცა ეს ძვირი დაგიჯდება. თოვლის პაპის სახლი მაღლობზე


პიერ ნოელი

მდებარეობს, რადგან მას სიჩუმე და სიმშვიდე სჭირდება. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გაიგოს ბავშვების ოცნებები და თხოვნები?

ვიდრე იოულუპუკი ოფისშია, მისი მეუღლე იოულუმუორი, რომელსაც ყველა ბებოს ეძახის, საშობაო ნამცხვარს აცხობს და ირმებს უვლის.

როვანიემში სანტას ოფისის გარდა კიდევ ბევრი რამ არის საინტერესო — აქ არის ფოსტა, სადაც მთელი მსოფლიოდან გამოგზავნილი ბავშვების წერილებია და სადაც ნამდვილი ელფები მუშაობენ; საშობაო სახლი გამოფენებითა და სუვენირების მაღაზიებით; სხვადასხვა გასართობები — ყინულის ლაბირინთები, ელფების თეატრი, თოვლმავლების პარკი და ძაღლების ფერმა, სადაც ნამდვილ ჰასკიზე შეგიძლია გაისეირნო; ასევე ისეირნო ირმებზე, მოხვდე ელფების გამოქვაბულში და ისწავლო საახალწლო სათამაშოების დამზადება.

საინტერესოა, რომ იოულუპუკის სოფელი 1950 წელს გაიხსნა. ფინელი სანტა კლაუსის პირველი სტუმარი კი ამერიკის პრეზიდენტის, ფრანკლინ დელანო რუზველტის მეუღლე, ელეონორა იყო.

**კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი:** აშშ-ში არსებობს მსოფლიოში ერთადერთი უნივერსიტეტი, სადაც „სანტა-კლაუსებსა“ და „მისის კლაუსებს“ ამზადებენ. სტუდენტები სწავლობენ ბავშვების ყველაზე უცნაურ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, საახალწლო სათამაშოების დამზადებას, ირმებთან ურთიერთობას, სურათებისთვის პოზირებას და ცნობილი „ხო-ხო-ხო“-ს წარმოთქმას.

ერთნი მიიჩნევენ, რომ ბევრი სანტა-კლაუსი არსებობს, ზოგი ამტკიცებს, რომ ისინი ერთის სახესხვაობებია, მაგრამ ერთ რამეში ყველა თანხმდება — თოვლის პაპა ბევრი არასოდეს არის!

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აღლაძის 39. ტელ: 234-39-99